ხალხი გულში იხუტებს გმირებს

ჩვენს მილწევებს კოსმოსის კვლევაში ვახმართ მშვიდობას, მეცნიერულ პროგრესს, ჩვენი პლანეტის ყველა ადამიანის ბედნიერებას, კეთილ იდეებს

ხ. ს. ხრუშჩოვი და გ. ს. ტიტოვი ვნუკოვოს აეროდრომზე.

ფოტო ა. ახლომოვისა და მ. ხარლამპიევისა.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 42-ე წელი. № 181 (12095) | ხუთშაბათი, 10 აგვისტო, 1961 წ. | ფასი 2 კაპ.

კოსმოსური სივრცეები დაპყრობილნი!

გეგეგეგით მთელი ხალხის, მთელი ქვეყნის სახელით

ღირსეულად შეგხვდებით მოსკოვში, მთელი ხალხის, მთელი ქვეყნის სახელით — ასე უთხრა ნ. ს. ხრუშჩოვმა კოსმონავტ გერმანე ტიტოვს. მარტოოდენ ჩვენი ქვეყნის გულისყური როდი იყო დღეს მიპყრობილი მოსკოვისაკენ. მთელი პლანეტა აღნიშნავს აქ, კოსმონავტთა დედაქალაქში, თავის დიდ დღესასწაულს.

ყოველი კოსმოსური გაფრენით ცნობილი ხდება არა მარტო სამყაროს საიდუმლოება, არამედ ახალი სახალხო გმირის სახელიც. აპრილში მსოფლიომ გაიცნო იური გაგარინი, აგვისტოში კი გერმანე ტიტოვი.

ქალაქი ნოუთმენლად ელოდება გმირს. ეს მოლოდინი იმ წუთებიდან დაიწყო, როცა მოსკოვის რადიომ მთელ მსოფლიოს აუწყა, რომ დაიწყო უმაგალითო კოსმოსური რეისი.

საბჭოთა ადამიანები არასოდეს არ დაივიწყებენ მაიორ ტიტოვის მოკლე მოხსენებებს კოსმოსიდან, რომელთა უბრალო სიტყვები იწვევდნენ გულის ფანცქალს და მღელვარებისა და სიამაყის გრძნობებს, გამარჯვების რწმენას. ამ გრძნობებით გამოვიდნენ დღეს ადამიანები ქუჩებში და მოედნებზე, ლენინის პროსპექტზე. ქალაქის ეს ულამაზესი მაგისტრალი მეგობრობის ტრასა, დიდების ტრასა, გმირთა ტრასა გახდა. ახლა მას სამართლიანად შეიძლება დაერქვას კოსმონავტთა ტრასა. მთელ მაგისტრალზე, ვნუკოვოს აეროდრომამდე იური გაგარინის, გერმანე ტიტოვის პორტრეტებია, სახლებზე—ალმები, ტრანსპარანტები, ლოზუნგები. ყველგან კოსმოსური ხომალდების ფერცხლისფერი მოდელები, ქსოვილები, რომლებზეც წარწერილია გმირისადმი მისალმების სიტყვები.

...შუადღე ახლოდება, მთელი მოსკოვი საათის ისრებს შეჰყურებს. უამრავი ადამიანი მოაწყდა ვნუკოვოს აეროპორტს. რამდენიმე ათასი მოსკოველი მოვიდა აქ, რათა მიესალმონ გმირს. ყველას ყვავილები უჭირავს.

აეროდრომზე შეიკრიბნენ საზოგადოებრიობის მრავალი წარმომადგენელი, სსრ კავშირისა და რუსეთის ფედერაციის მინისტრები, სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრები, საბჭოთა კავშირის და ჯარის სახეობათა მარშლები, დედაქალაქისა და მოსკოვის ოლქის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელები, მეცნიერები, კულტურის მოღვაწეები.

დამხვდურთა შორის არიან დიპლომატიური კორპუსის წევრები, საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტები.

აეროდრომზე მოვიდნენ ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, ნ. გ. იგნატოვი, ფ. რ. კოზლოვი, ა. ა. მიკოიანი, ნ. ა. მუხიტდინოვი, დ. ს. პოლიანსკი, მ. ა. სუსლოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ი. ე. კალნბერზინი, გ. ი. ვორონოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ა. თ. ზასიადკო, ვ. ნ. ნოვიკოვი, დ. თ. უსტინოვი, კ. ნ. რუდნევი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრები ა. ა. ანდრეევი, ს. მ. ბეგიონი, კ. ე. ვოროშილოვი, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი და საგარეო საქმეთა მინისტრი, ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი ფამ ვან დონგი.

ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელები მიეგებნენ გ. ს. ტიტოვის ნათესავებთან.

ნიკიტა სერგის-ძემ ხელი ჩამოართვა გმირის დედას ალექსანდრა მიხეილის ასულს და უთხრა, თქვენმა ვაჟმა შესანიშნავი გმირობა განახორციელა. მან მიულოცა აგრეთვე გმირის მამას სტეფანე პავლეს-ძეს და ცოლს თამარ ვასილის ასულს. კოსმონავტის მამამ, დედამ და ცოლმა გრძნობამორევით გადაიხადეს მადლობა მილოცვისათვის.

ნიკიტა სერგის-ძემ ხუმრობით შენიშნა იური გაგარინს, ბედნიერი ფეხისა ხარო. გაგარინმა გაკაფა კოსმოსის გზა, ახლა კი პირველი კოსმონავტის მაგალითს მიბაძა მისმა ამხანაგმა.

ნ. ს. ხრუშჩოვმა, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელებმა, ი. ა. გაგარინმა სამახსოროდ სურათი გადაიღეს გერმანე ტიტოვის ნათესავებთან.

საათის ისრები დღის პირველ საათს უახლოვდება. შეერებილნი ხმარ-ხშირად შეჰყურებენ ცას. ბოლოს, ლაჟვარდში გამოჩნდა ვერცხლისფერი „ილ-18“, რომელშიც გმირია. თვითმფრინავი, თითქოს პარადიაო, მოდის ავიაგამანადგურებელთა საპატიო ესკორტის თანხლებით. ეს მხედრული პატივი ხაზს უსვამს სოციალისტიური სამშობლოს ერთგული შვილის გმირობის სიდიადეს.

საპაერო ლაინერი ჯდება. თვითმფრინავი სულ ახლოს და ახლოს მოდის. მიადგეს კიბე. გაიღო კარი და გამოჩნდა გმირი კოსმონავტი. მას შეეგება ტაშის გრიალი. მისალმების შეძახილები, უწყვეტი „ვაშა!“. გრიალებს მარში. გ. ს. ტიტოვი ჩამოდის საფეხურებზე, მიდის წითელი ხალიჩის გზით. ათასობით ალტაცებული ადამიანი შეჰყურებს მას.

გ. ს. ტიტოვი მიუახლოვდა საზეიმოდ მორთულ ტრიბუნას, სადაც არიან კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელები, კოსმონავტის მახლობლები. ერთი წუთითაც არ წყდება ტაში.

მაიორი ტიტოვი ადის ტრიბუნაზე და მკაფიოდ უპატაკებს ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვს:

„ამხანაგო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველო მდივანო, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეო,

მოგახსენებთ, რომ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის დავალება შესრულებულია.

1961 წლის 6 და 7 აგვისტოს თანამგზავრ ხომალდ „აღმოსავლეთი-2“-ით განხორციელდა 25 საათის კოსმოსური ფრენა. 17-ჯერ და მეტჯერ შემოვუფრინე დედამიწას და მშვიდობით დავეშვი ზუსტად ნავარაუდევ რაიონში. კოსმოსური ხომალდის მთელი მოწყობილობა შეუფერხებლად მუშაობდა.

თავს შესანიშნავად ვგრძნობ.

მზად ვარ შევასრულო პარტიისა და მთავრობის ყოველი დავალება.

მაიორი ტიტოვი“.

ნიკიტა სერგის-ძე მამობრივად გადაეხვია ტიტოვს, გულში ჩაიკრა იგი, როგორც ჩვენი სამშობლოს ძვირფასი და საყვარელი შვილი. გერმანე ტიტოვს გადაეხვივნენ და კოცნიან ცოლი, მშობლები, და, ცოლის მშობლები. ქალები ცრემლებს იწმენდენ.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელებმა ხელი ჩამოართვეს გმირ კოსმონავტს, რომელმაც დიდი გმირობა განახორციელა მშვიდობისათვის, კაცობრიობის საყოველთაო ბედნიერებისა და პროგრესისათვის.

პიონერების — დღეს მთელი მოსკოვის ყველაზე ბედნიერი ბავშვების ჯგუფმა, აგრეთვე ქალიშვილებმა ყვავილთა თაიგულები მიართვეს გერმანე ტიტოვს, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელებს, ყველას, ვინც ტრიბუნაზეა.

აეროდრომზე გაისმა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნის მელოდია.

ნ. ს. ხრუშჩოვი, გ. ს. ტიტოვი და ი. ა. გაგარინი, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელები გაეძართნენ მოსკოველებისაკენ. კვლავ ოვაცია, კვლავ „ვაშას“ შეძახილები, გულითადი მისალმების, მეგობრობის, ჯანმრთელობის, ბედნიერების, წარმატებათა სურვილის სიტყვები.

გმირ კოსმონავტს გადაეხვია ავიაციის მთავარი მარშალი კ. ა. ვერშინინი, ეს—ყველა საბჭოთა სამხედრო მფრინავის სახელით, რომელთა რიგებში გერმანე ტიტოვი გაიზარდა როგორც შესანიშნავი ოსტატი საჰაერო პილოტაჟისა და მოემზადა კოსმოსში გასაფრენად.

ნ. ს. ხრუშჩოვი, გერმანე ტიტოვი და მისი ცოლი თამარი, რომლებსაც ტაშის გრიალით მიაცილებენ, სხდებიან ყვავილთა გირლანდებით მორთულ ღია მანქანაში.

შუა რუსეთის დაბლობზე, ტყეებისა და მინდვრების გავლით მიდის კოსმონავტის გზა აეროდრომიდან დედაქალაქში. მთელ გზაზე, რომელიც გმირმა კოსმონავტმა გაიარა, მას მხურვალედ მიჭსალმებოდნენ ათასობით მოსკოველი და მათი სტუმრები.

ბოროვიცის კარიბჭე სადღესასწაულო ტრასის უკანასკნელი მონაკვეთია. ყველა მოუთმენლად ელის. ფოტოკორესპონდენტები, კინოოპერატორები, ფოტომოყვარულები, ისინი კი აქ დღეს განსაკუთრებით ბევრნი არიან. ჩქარობენ დაიკავონ მოხერხებული ადგილი.

მოტოციკლისტთა საპატიო ესკორტის თანხლებით გამოჩნდა ყვავილებში ჩაფლული ღია მანქანა. გერმანე სტეფანეს-ძე ტიტოვი და მისი ცოლი მიესალმებიან მოსკოველებს. მათ გვერდით არის მოღიმარე ნ. ს. ხრუშჩოვი.

ასობით ადამიანის მისალმების შეძახილებში მანქანა შედის კრემლის ბოროვიცის კარიბჭეში. (საკდესი).

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საბჭოთა კოსმონავტი მფრინავ მაიორ გ. ს. ტიტოვისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

თანამგზავრ ხომალდ „აღმოსავლეთი-2“-ით კოსმოსში შესანიშნავი ფრენის განხორციელებისათვის კოსმონავტ მფრინავს მაიორ გერმანე სტეფანეს-ძე ტიტოვს მიენიჭოს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება და გადაეცეს ლენინის ორდენი და მედალი „ოქროს ვარსკვლავი“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ლ. ბრეჟნევი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე

მოსკოვი, კრემლი.
1961 წლის 9 აგვისტო.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მფრინავ მაიორ გ. ს. ტიტოვისათვის „სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავის“ წოდების მინიჭების შესახებ

თანამგზავრ ხომალდ „აღმოსავლეთი-2“-ით კოსმოსური ფრენის განხორციელებისათვის მიენიჭოს **„სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავის“** წოდება საბჭოთა კავშირის მოქალაქეს მფრინავს მაიორ გერმანე სტეფანეს-ძე **ტიტოვს.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ლ. ბრეჟნევი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე

მოსკოვი, კრემლი.
1961 წლის 9 აგვისტო.

დარგაზოგა კრემლის დიდ სასახლეში

მოსკოვი, 9 აგვისტო. (საკდესი). დღეს კრემლის დიდი სასახლის გიორგის დარბაზში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დარბაზობა გამართეს იმ მეცნიერების, კონსტრუქტორების, ინჟინრების, ტექნიკოსებისა და მუშების შესანიშნავი გამარჯვების აღსანიშნავად, რომლებმაც უზრუნველყვეს კოსმოსური სივრცეში ადამიანის ახალი კოსმოსური გაფრენის განხორციელება, კოსმონავტი მფრინავის გერმანე სტეფანეს-ძე ტიტოვის პატივსაცემად.

დარბაზობაზე იყვნენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელები, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეები, მოსკოვის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, აგრეთვე შესანიშნავი საბჭოთა პატრიოტები, რომლებიც კოსმოსის ათვისების დარგში მუშაობენ.

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს

მოსკოვი.

ძვირფასო ამხანაგო,

46 თვის წინათ მსოფლიოში პირველმა თანამგზავრმა, რომელიც გადმოვცემდა ბგერითს სიგნალებს „ბიპ-ბიპ“, ამაყად შემოუფრინა დედამიწას. მას მიჰყვა სხვა თანამგზავრები, მთვარისები და ვენერისაკენ გაშვებული კოსმოსური ხომალდი. შემდეგ დადგა 1961 წლის 12 აპრილის დაუვიწყარი დღე: კოსმოსური ხომალდი „აღმოსავლეთი-1“, რომელშიც იყო საბჭოთა მგზარი იური გაგარინი, წარმატებით გაუვანელ იქნა ორბიტაზე დედამიწის გარშემო. ისტორიაში პირველად შესრულდა ასეთი მეცნიერული გმირობა.

და დღეს მისი უმცროსი ძმა „აღმოსავლეთი-2“, რომელსაც პილოტობს საბჭოთა გმირი გერმანე ტიტოვი, ტრიუმფით ბრუნდება მშობლიურ პლანეტაზე მას შემდეგ, რაც რამდენჯერმე შემოუფრინა დედამიწას.

საბჭოთა მეცნიერება დიადი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით სულ უფრო შესანიშნავ და გრანდიოზულ წარმატებებს აღწევს.

ვიეტნამელი ხალხი ძალიან ბედნიერია და ამაყობს საბჭოთა კავშირის ამ გამარჯვებებით იმიტომ, რომ ეს გამარჯვებები ჩვენი სოციალისტური ბანაკისა და მთელი კაცობრიობის გამარჯვებებიც არის.

დიდება საბჭოთა კავშირს, კომუნისტურ პარტიასა და ხალხს!

ძვირფასო ამხანაგო ხრუშჩოვ, ჩემი თანამემამულეების სახელით დიდ მადლობას გიძღვნით და ძმურად გეხვევით.

ხო ში მინი.

1961 წლის 7 აგვისტო.

გერმანე ტიტოვის სახელოგნის სკოლა

ბარნაული, 9 აგვისტო. (საკდესი). სოფელ პოლკოვნიკოვოს პედაგოგებმა და საცდელ-საჩვენებელი მეურნეობა „ოქტომბრის სხივის“ მუშებმა აღძრეს შეუამდგომლობა: სკოლას, სადაც სწავლობდა გერმანე ტიტოვი და მასწავლებლად მუშაობდა მამამისი, მიენიჭოს კოსმონავტ გერმანე ტიტოვის სახელი. დღეს კოსიხის რაისაბჭოს აღმასკომმა და ალტაის სამხარეო საბჭოს აღმასკომმა დააკმაყოფილეს მათი თხოვნა. სკოლას მიენიჭა კოსმონავტი მფრინავის გერმანე სტეფანეს-ძე ტიტოვის სახელი.

გერმანე ტიტოვი — სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი

მოსკოვი, 9 აგვისტო. (საკდესი). კაცობრიობის ისტორიაში შესანიშნავი მიღწევისათვის — თანამგზავრი ხომალდით „აღმოსავლეთი-2“ კოსმოსური ფრენისთვის, კოსმოსურ სივრცეში ფრენის მსოფლიო რეკორდების დამყარებისათვის, — დღეს სსრ კავშირის სასპორტო საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის ცენტრალურმა საბჭომ კოსმონავტ მფრინავს, მაიორ გერმანე სტეფანეს-ძე ტიტოვს მიანიჭა სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატის საპატიო წოდება.

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის წერილი

საყოველთაო და სრული განიარაღების და ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვის მეშვიდე საერთაშორისო კონფერენციას

ტოკიო, იაპონია

საბჭოთა კავშირის ხალხისა და მთავრობის სახელით მივესალმები საყოველთაო და სრული განიარაღების და ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვის მეშვიდე საერთაშორისო კონფერენციის მონაწილეებს.

მიზნები, რომლებსაც ისახავენ კონფერენციის მონაწილენი, შეესაბამება ყველა ხალხის სანუკვარ მისწრაფებებს, არ არის უფრო დიდმნიშვნელოვანი და გადაუდებელი, უფრო კეთილშობილური ამოცანა, ვიდრე ის, რომ დავიცვათ მშვიდობა, ვიხსნათ კაცობრიობა ატომური საშიშროებისაგან.

საბჭოთა კავშირი ყოველთვის იყო და იქნება თანმიმდევარი და მტკიცე მებრძოლი ომის თავიდან აცილებისათვის, როგორც თავისი ქვეყნის, ისე მსოფლიოს ყველა ქვეყნის უშიშროების უზრუნველყოფისათვის. საბჭოთა მთავრობა ძალღონეს არ იშურებს, იმისათვის, რომ მიაღწიოს შეთანხმებას განიარაღების შესახებ მკაცრი საერთაშორისო კონტროლით, ერთხელ და სამუდამოდ მოუღოს ბოლო გამალებულ შეიარაღებას. საყოველთაო და სრული განიარაღების საბჭოთა პროგრამა ითვალისწინებს ამ პრობლემის კონსტრუქციულ, ყველა სახელმწიფოსათვის, ყველა ხალხისათვის ხელსაყრელ გადაჭრას.

საბჭოთა კავშირი მზად არის ყოველ დროს დაიწყოს სრული განიარაღების პრაქტიკული განხორციელება შესაბამისი საერთაშორისო შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში. ამასთან ჩვენ მზად ვართ მივიღოთ კონტროლის ყოველი სახეობა, თუ დასავლეთის ხელმწიფეები, ბოლოს და ბოლოს, დათანხმდებიან განიარაღდნენ ჩვენთან ერთად და მიიღონ საყოველთაო და სრული განიარაღების გეგმა.

მაგრამ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და მათმა მოკავშირეებმა ცხადყვეს, რომ აშკარად არა სურთ აწარმოონ სერიოზული მოლაპარაკება საკითხის არსზე. ისინი გვერდს უვლიან შეთანხმებას საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ, აძლიერებენ გამალებულ შეიარაღებას, ზრდიან სამხედრო ბიუჯეტებს, აჩქარებენ სამარ მზადებას.

დღეს უფრო, ვიდრე ოდესმე წინათ, საერთაშორისო ვითარება მოითხოვს ყველა კეთილი ნების ადამიანისაგან, ვისთვისაც ძვირფასია მშვიდობა და უშიშროება, დარაზმონ თავიანთი ძალები იმისათვის, რომ არ დაუშვან სამხედრო კატასტროფა, არ მისცენ უფლება უფსკრულში გადაჩეხონ კაცობრიობა. ხალხთა აქტიურ ბრძოლას მშვიდობისათვის ახლანდელ მდგომარეობაში, როცა მშვიდობის ძალები განუზომლად განმტკიცდა, შეუძლია გადაუჭრას და კიდევაც უნდა გადაუჭრას გზა იმათ, ვინც ომის გაჩაღებით იმუქრება.

საბჭოთა ადამიანები უდიდესი პატივისცემით ეკიდებიან იაპონელ ხალხს, რომელიც მამაცურად იბრძვის მის მიწა-წყალზე უცხოეთის სამხედრო ბაზების განლაგების წინააღმდეგ, ატომური კონფლიქტის წარმოშობის საფრთხის წინააღმდეგ. ისინი გულწრფელად იმედოვნებენ, რომ იაპონელი ხალხი, რომელმაც პირველმა განიცადა ატომური დაბომბვის საშინელებანი, არ დაუშვებს ხიროსიმისა და ნაგასაკის ტრაგედიის გამეორებას, კიდევ უფრო შეკავშირდება და იბრძოლებს თავისი ქვეყნის ახალ სამხედრო ავანტიურებში ჩაბმის წინააღმდეგ, მთელ მსოფლიოში მტკიცე მშვიდობის დამყარებისათვის.

სულით და გულით ვუსურვებ კონფერენციას ნაყოფიერ მუშაობას, ხოლო მის მონაწილეებს — ყოველგვარ წარმატებებს მშვიდობისათვის ბრძოლის კეთილშობილურ ასპარეზზე.

ნ. ხრუშჩოვი.

1961 წლის 3 აგვისტო.

დიდება გერმანე ტიტოვს!—ქუხს მოსკოვი

მშრომელთა მიტინგი და დემონსტრაცია წითელ მოედანზე

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

როგორც დიდი დღესასწაულების დღეებში, საზეიმოდ არის მორთული წითელი მოედანი. სახელმწიფო უნივერსალური მაღაზიის მთელი შენობის გასწვრივ მაღალ ანძებზე ფრიალებენ მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო ალმები. შენობის ცენტრში ალისფერ ფონზე ვ. ი. ლენინის პორტრეტია. „წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!“ — ელვარებენ სიტყვები. წითელ ქსოვილებზე წარწერილი სიტყვები დღეგრძელობას უსურვებენ კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა ხალხს. ქვის კვარცხლბეკზე აღმართულია რაკეტა. იგი სიმბოლოა თანამგზავრი ხომალდის „აღმოსავლეთ-2“-ის გაშვებისა. ხომალდი გამოსახულია ისტორიული მუზეუმის შენობაზეც. გვერდით გერმანე ტიტოვის პორტრეტია.

მოედანზე უამრავი ხალხია.

ტრიბუნებზე არიან ჩვენი ქვეყნის წარჩინებული ადამიანები, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავეები, მინისტრები, სსრ კავშირისა და რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საბჭოების დეპუტატები, საბჭოთა არმიის მეომრები, უცხოელი სტუმრები. ესწრება დიპლომატიური კორპუსის მრავალი წარმომადგენელი.

წითელ მოედანზე მქუხარე ტაში გაისმის, როცა მაზოლეუმის ტრიბუნაზე შემოდიან ამხანაგები — ნ. ს. ხრუშჩოვი კოსმონავტებთან იური გაგარინთან და გერმანე ტიტოვთან ერთად, ლ. ი. ბრეჟნევი, ნ. გ. იგნატოვი, ფ. რ. კოზლოვი, ა. ი. მიკოიანი, ნ. ა. მუხიტდინოვი, დ. ს. პოლიანსკი, მ. ა. სუსლოვი, ი. ე. კალნბერზინი, გ. ი. ვორონოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი კ. ე. ვოროშილოვი. აქვე არიან ესპანეთის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარე დოლორეს იბარური, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი და საგარეო საქმეთა მინისტრი, ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი ფამ ვან დონგი, საფრანგეთის კომუნისტური პარტიის პოლიტბიუროს წევრი და საფრანგეთის „კომუნისტური“ პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ჟაკ დიუკლო, ფინეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი ვილე პესი.

ტრიბუნაზეა კოსმონავტის ოჯახი.

მიკროფონთან მიდის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ფ. რ. კოზლოვი. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დავალებით იგი ხსნის ქალაქ მოსკოვის მშრომელთა მიტინგს, მიძღვნილს საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის ახალი უმაღლესი გამარჯვებისადმი.

და აი მოსკოველთა წინაშე, ათეულ ათასობით ალტაცებული ადამიანის თვალწინ წარსდგა გმირი მფრინავი გერმანე ტიტოვი, რომელსაც სიტყვას აძლევს ფ. რ. კოზლოვი. მოედანზე გაისმის მქუხარე ტაში.

ამხანაგ გ. ს. ტიტოვის სიტყვა

ძვირფასო ამხანაგებო!

მეგობრებო!

ძვირფასო ნიკიტა სერგეს-ძე!

ბედნიერი ვარ მოვახსენო კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა მთავრობას, ძველ საბჭოთა ხალხს, რომ კოსმოსური თანამგზავრი ხომალდით „აღმოსავლეთ-2-ით“ ფრენა სამყაროს სივრცეებში წარმატებით დამთავრდა.

ამ ხომალდმა, რომელიც საბჭოთა ადამიანის გეხიამ შეიქმნა, 25 საათის განმავლობაში 17-ჯერ და მეტჯერ შემოუფრინა ჩვენს პლანეტას და ძმვიდობით დაბრუნდა ჩვენს მშვენიერ საბჭოთა მიწაზე.

სულით და გულით მადლობას ვუძღვნი ცენტრალურ კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, ძმობლიურ საბჭოთა მთავრობას, მადლობას მოგახსენებთ თქვენ, ძვირფასო ნიკიტა სერგეს-ძეს, რომ მე, როგორ სამხედრო მფრინავს, აღმომჩინენი ხართ ასეთ ფრენაზე.

ეს ფრენა ჩვენ ქვეყნის წარჩინებული ადამიანები, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავეები, მინისტრები, სსრ კავშირისა და რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საბჭოების დეპუტატები, საბჭოთა არმიის მეომრები, უცხოელი სტუმრები, ესწრება დიპლომატიური კორპუსის მრავალი წარმომადგენელი.

წითელ მოედანზე მქუხარე ტაში გაისმის, როცა მაზოლეუმის ტრიბუნაზე შემოდიან ამხანაგები — ნ. ს. ხრუშჩოვი კოსმონავტებთან იური გაგარინთან და გერმანე ტიტოვთან ერთად, ლ. ი. ბრეჟნევი, ნ. გ. იგნატოვი, ფ. რ. კოზლოვი, ა. ი. მიკოიანი, ნ. ა. მუხიტდინოვი, დ. ს. პოლიანსკი, მ. ა. სუსლოვი, ი. ე. კალნბერზინი, გ. ი. ვორონოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი კ. ე. ვოროშილოვი. აქვე არიან ესპანეთის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარე დოლორეს იბარური, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი და საგარეო საქმეთა მინისტრი, ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი ფამ ვან დონგი, საფრანგეთის კომუნისტური პარტიის პოლიტბიუროს წევრი და საფრანგეთის „კომუნისტური“ პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ჟაკ დიუკლო, ფინეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი ვილე პესი.

ტრიბუნაზეა კოსმონავტის ოჯახი.

მიკროფონთან მიდის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ფ. რ. კოზლოვი. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დავალებით იგი ხსნის ქალაქ მოსკოვის მშრომელთა მიტინგს, მიძღვნილს საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის ახალი უმაღლესი გამარჯვებისადმი.

და აი მოსკოველთა წინაშე, ათეულ ათასობით ალტაცებული ადამიანის თვალწინ წარსდგა გმირი მფრინავი გერმანე ტიტოვი, რომელსაც სიტყვას ფ. რ. კოზლოვი. მოედანზე გაისმის მქუხარე ტაში.

ამხანაგ გ. ს. ტიტოვის სიტყვა

ძვირფასო ამხანაგებო!

მეგობრებო!

ძვირფასო ნიკიტა სერგეს-ძე!

ბედნიერი ვარ მოვახსენო კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა მთავრობას, ძველ საბჭოთა ხალხს, რომ კოსმოსური თანამგზავრი ხომალდით „აღმოსავლეთ-2-ით“ ფრენა სამყაროს სივრცეებში წარმატებით დამთავრდა.

ამ ხომალდმა, რომელიც საბჭოთა ადამიანის გეხიამ შეიქმნა, 25 საათის განმავლობაში 17-ჯერ და მეტჯერ შემოუფრინა ჩვენს პლანეტას და ძმვიდობით დაბრუნდა ჩვენს მშვენიერ საბჭოთა მიწაზე.

სულით და გულით მადლობას ვუძღვნი ცენტრალურ კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, ძმობლიურ საბჭოთა მთავრობას, მადლობას მოგახსენებთ თქვენ, ძვირფასო ნიკიტა სერგეს-ძე, რომ მე, როგორ სამხედრო მფრინავს, აღმომჩინენი ხართ ასეთ ფრენაზე.

ეს ფრენა ჩვენ ქვეყნის წარჩინებული ადამიანები, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავეები, მინისტრები, სსრ კავშირისა და რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საბჭოების დეპუტატები, საბჭოთა არმიის მეომრები, უცხოელი სტუმრები. ესწრება დიპლომატიური კორპუსის მრავალი წარმომადგენელი.

წითელ მოედანზე მქუხარე ტაში გაისმის, როცა მაზოლეუმის ტრიბუნაზე შემოდიან ამხანაგები — ნ. ს. ხრუშჩოვი კოსმონავტებთან იური გაგარინთან და გერმანე ტიტოვთან ერთად, ლ. ი. ბრეჟნევი, ნ. გ. იგნატოვი, ფ. რ. კოზლოვი, ა. ი. მიკოიანი, ნ. ა. მუხიტდინოვი, დ. ს. პოლიანსკი, მ. ა. სუსლოვი, ი. ე. კალნბერზინი, გ. ი. ვორონოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი კ. ე. ვოროშილოვი. აქვე არიან ესპანეთის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარე დოლორეს იბარური, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი და საგარეო საქმეთა მინისტრი, ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი ფამ ვან დონგი, საფრანგეთის კომუნისტური პარტიის პოლიტბიუროს წევრი და საფრანგეთის „კომუნისტური“ პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ჟაკ დიუკლო, ფინეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი ვილე პესი.

ტრიბუნაზეა კოსმონავტის ოჯახი.

მიკროფონთან მიდის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ფ. რ. კოზლოვი. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დავალებით იგი ხსნის ქალაქ მოსკოვის მშრომელთა მიტინგს, მიძღვნილს საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის ახალი უმაღლესი გამარჯვებისადმი.

და აი მოსკოველთა წინაშე, ათეულ ათასობით ალტაცებული ადამიანის თვალწინ წარსდგა გმირი მფრინავი გერმანე ტიტოვი, რომელსაც სიტყვას აძლევს ფ. რ. კოზლოვი. მოედანზე გაისმის მქუხარე ტაში.

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

ძვირფასო ამხანაგო მოსკოველებო!

ძვირფასო თანამემამულენო!

მთელი მსოფლიოს მოქალაქენო!

ჩვენი სამშობლოსათვის ამ საზეიმო დღეს, კოსმოსის გმირ გერმანე სტეფანეს-ძე ტიტოვთან შეხვედრის დღეს, ჩვენ კიდევ შეეიკრიბეთ წითელ მოედანზე, ძველი კრემლის კედლებთან. ამ მოედანს ბევრი შესანიშნავი მოვლენა უნახავს, მასთან ბევრი რამ არის დაკავშირებული ჩვენი სამშობლოს ისტორიაში.

აქედან, წითელი მოედნიდან, ჩვენი დიდი-მასწავლებელი და ბელადი ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი თვალს ადევნებდა პატარა საბჭოთა თვითმფრინავის თრევას. ეს ეროპლანი, როგორც მაშინ ამბობდნენ, მცირე სიმაღლეზე, მცირე სიჩქარით ფრინავდა. არის რაღაც დიადი და სიმბოლური ამაში, რომ სულ რაღაც ორმოცი წლის შემდეგ, ჩვენ ამავე მოედანზე მეორედ მივესალმებით კოსმოსის გმირს, უდიდესი ნებისყოფის, სიმამაცისა და გამბედაობის ადამიანს. როგორ არ იამაყოს და როგორ არ გაიხაროს ჩვენმა ხალხმა, რომელმაც წარმოშვა ისეთი გმირები, როგორიც არიან იური გაგარინი და გერმანე ტიტოვი — ორი ზეციური ძმა. ორივე ისინი აოზარდა საბჭოთა ოჯახმა, ჩვენმა დიადმა კომუნისტთა ლენინურმა პარტიამ.

როცა ჩვენი ძვირფასი ილიჩი პატარა და ნელმავალი თვითმფრინავის პირველ ფრენას ადევნებდა თვალს, იგი თავისი გამჭრიახი თვალით ხედავდა იმ სიმაღლეებს, რომლებსაც დღეს ჩვენმა საბჭოთა სამშობლომ მიაღწია. დასრულებთ რა ლენინის ანდერძს, ჩვენ ავაშენეთ სოციალიზმი. ჩვენი სამშობლო ამჟამად წინ მიუძღვის განათლებულ კაცობრიობას. ახალ გზებს კვალავს მეცნიერებაში.

მთელი მსოფლიო აღფრთოვანებული იყო, როცა 6 აგვისტოს მზიანი დილით საბჭოთა კავშირის მოქალაქემ კომუნისტმა მაიორმა გერმანე სტეფანეს-ძე ტიტოვმა თანამგზავრ ხომალდ „აღმოსავლეთ-2“-ით დაიწყო თავისი გრანდიოზული კოსმოსური მოგზაურობა დედამიწის გარშემო. იგი სერავდა სამყაროს სივრცეებს და 25 საათის განმავლობაში 17-ჯერ და მეტჯერ შემოუფრინა დედამიწას.

დიახ, ამხანაგებო, ჩვენს კოსმონავტებს მართლაც შეუძლიათ თქვან, როგორც ნათქვამია სიმღერაში: „მთელი ეს სამყარო შემოვიარე“, თქვან: მთელ ამ სამყაროს შემოვუფრინე, მაგრამ სამშობლოზე ლამაზი ვერსად ვერ ვნახეო.

ყველგან კარგია, მაგრამ სამშობლოში უკეთესია. თავიანთი შრომით ადამიანები ალამაზებენ სამყაროს. ჩვენ ვამაყობთ ჩვენი სოციალისტური ქვეყნით, მისი წარმატებებით და კიდევ უფრო დიდი ენთუზიაზმით ვიშრომებთ იმისათვის, რომ გაბედულად ვიაროთ წინ კომუნიზმისაკენ.

როგორც ჩვენს პირველ კოსმონავტებს მიბაძავენ ჩვენი ქვეყნისა და სხვა ქვეყნების სხვა კოსმონავტები, ასევე გზას, რომელსაც საბჭოთა ხალხი კაფავს კომუნისტური მომავლისაკენ, დაადგება ყველა ხალხი.

თქვენ, კოსმონავტებს, როგორც პირველ მზვერავ-გეოლოგებს, რომლებიც პირველნი კაფავენ ბილიკებს, გიძნელდებათ სვლა, მაგრამ სამგზეროდ სასიამოვნოა არის საკუთარი შრომის ნაყოფის ხილვა. ასევე ჩვენი ხალხი, ჩვენი კომუნისტური პარტია პირველნი კაფავენ გზას კომუნიზმისაკენ. ჩვენს გზაზე გვხვდება სიძნელეები, მაგრამ ჩვენ ვძლევთ ამ სიძნელეებს და ვიგებთ ჩვენი შრომის ნაყოფს, გვახარებს კომუნისტური მშენებლობის წარმატებანი.

აზიისა და აფრიკის, ევროპის, ამერიკისა და ავსტრალიის მცხოვრებლებს ესმოდათ საბჭოთა კოსმონავტის ხმა. ეს ღვთაებრივი არსების, მოგონილი ცისფერი მკვიდრის ხმა კი არ ყოფილა. ეს იყო ხმა ადამიანისა დედამიწის პლანეტიდან, ხმა ახალი სოციალისტური სამყაროს ადამიანისა.

და მთელმა დედამიწამ გაიგონა რუსული სიტყვა, კეთილი სალამი დედამიწის ყველა კონტინენტის ხალხებისადმი. მაიორ ტიტოვის გმირობა სამარადისოდ შევა კაცობრიობის ისტორიაში.

კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საბჭოთა მთავრობის, მთელი ჩვენი გმირი ხალხის სახელით მხურვალედ გილოცავთ, ძვირფასო გერმანე სტეფანეს-ძე და გულითად მადლობას გიხდით თქვენი ღვაწლისათვის, მამაცობისა და გმირობის გამოჩენისათვის.

საბჭოთა ადამიანები ამაყობენ იმით, რომ ჩვენმა მეცნიერებმა, კონსტრუქტორებმა, ინჟინრებმა, ტექნიკოსებმა და მუშებმა შექმნეს მძლავრი რაკეტები და ისეთი მშვენიერი კოსმოსური თანამგზავრი ხომალდები, როგორიც არის „აღმოსავლეთი-1“ და „აღმოსავლეთი-2“. რამდენი გონება, ნებისყოფა და უნარია ჩაქსოვილი ამ საუცხოო მანქანების შექმნაში. მთელი ხალხი, დედამიწის ყველა პატიოსანი ადამიანი ულოცავს და ადიდებს ჩვენს მეცნიერებს, კონსტრუქტორებს, ინჟინრებსა და მუშებს, ვისი გენიითა და შრომითაც შეიქმნა კოსმოსური ხომალდები, რომლებსაც იერიში მიაქვთ სამყაროს უსაზღვრო ოკეანეზე.

ძვირფასო ამხანაგებო! ყველა ჩვენგანს კარგად ესმის, რომ კოსმოსში გაფრენა ჩვეულებრივი საქმე როდია, მის თვალუწვდენ სივრცეებში გასეირნება როდია, არამედ რთული და დაძაბული შრომაა, რომელიც მოითხოვს ადამიანის მთელი სულიერი და ფიზიკური ძალების მობილიზაციას.

ჩვენმა კოსმონავტმა ბრწყინვალედ შეასრულა მეცნიერული კვლევის დიდი პროგრამა და ეს გამადიდრებს მეცნიერებას ახალი მონაცემებით. კოსმოსში ერთი დღეღამის ყოფნის შემდეგ ამხანაგი ტიტოვი დაბრუნდა დედამიწაზე მხნე, ჯანმაგარი და ხალისიანი. სუნთქვა გეკვრის, როცა გაიფიქრებ, რომ ხომალდმა „აღმოსავლეთ-2“-მა კოსმოსში 700 ათასზე მეტი კილომეტრი გაიარა. ამხანაგ ტიტოვის კოსმოსური რეისი უდრის გზას დედამიწიდან მთვარემდე და უკან. ჩვენ გვჯერა და ვიცით, რომ შორს არ არის ის დრო როცა კოსმოსური ხომალდები, რომლებსაც ადამიანი მართავს, გაკაფავენ ტრასებს მთვარისაკენ, მზის სისტემის პლანეტებისაკენ.

პარტია, მთავრობა, მთელი საბჭოთა ხალხი ამაყობენ, რომ ჩვენი სამშობლო პირველი კაფავს კოსმოსის გზას, ყველა ჩვენგანი დიდად აფასებს ამხანაგ ტიტოვის დიად გმირობას.

ჩემთვის დიდად სასიამოვნოა გაცნობოთ, რომ თანამგზავრი ხომალდ „აღმოსავლეთ-2“-ით კოსმოსში შესანიშნავი ფრენის განხორციელებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მოგანიჭათ თქვენ, გერმანე სტეფანეს-ძეს, საბჭოთა კავშირის გმირის წოდება. სულით და გულით გილოცავთ ამ მაღალ წოდებას და დამსახურებულ ჯილდოს.

თქვენ მოგენიჭათ აგრეთვე „სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავის“ წოდება. ახლა ორნი — თქვენ და თქვენი მეგობარი იური ალექსის-ძე გაგარინი ატარებთ ამ სახელოვან წოდებას. მაგრამ ორნი მხოლოდ შემდეგ გაფრენამდე, მერე კი გამოჩნდებიან ახალი საბჭოთა კოსმონავტი მფრინავები. შეგვიძლია ეჭვი არ ვიქონიოთ, რომ კოსმონავტი მფრინავების ოჯახი გაიზრდება და განმტკიცდება.

თქვენ, გერმანე სტეფანეს-ძე, კოსმოსში რომ გაემგზავრეთ, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრობის კანდიდატი იყავით, მაგრამ ძნელი ფრენის დროს თავი ისე გეჭირათ, როგორც მედგარ კომუნისტს. სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა საკანდიდატო სტაჟის დამთავრებამდე მიგიღოთ თქვენ კომუნისტთა დიადი პარტიის წევრად, გილოცავთ. ამ დიდ მოვლენას თქვენს ცხოვრებაში.

დიდი პატივისცემით ვულოცავ თქვენს მშობლებს — ალექსანდრა მიხეილის ასულსა და სტეფანე პავლეს-ძეს. მათ მართლაც აქვთ საამაყო, მათ მამაცი შვილი აღზარდეს. დიდი ბედნიერებაა გაზარდო და აღზარდო მამაცი ადამიანი, რომელიც ყოველთვის მზად არის სახელი გაუთქვას თავის სამშობლოს! ჩვენ ვულოცავთ გერმანე სტეფანეს-ძის მეუღლეს — თამარ ვასილის ასულს და მადლობას ვუძღვნით, რომ მხნედ გააცილა საყვარელი ადამიანი საგმირო საქმისათვის სამშობლოს სასახელოდ.

ძვირფასო მეგობრებო! ამხანაგებო!

ამ დღეებში მთელი პროგრესული კაცობრიობა მხურვალედ მიესალმება საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის თვალსაჩინო გამარჯვებებს და აღტაცებით უყურავს ტაშს საბჭოთა ადამიანებს, რომლებიც კოსმოსში ახორციელებენ საგმირო საქმეებს, რათა მშვიდობამ და გონებამ გაიმარჯვოს დედამიწაზე.

საბჭოთა ადამიანებმა მსოფლიო ისტორიაში პირველად შექმნეს და გაუშვეს დედამიწის პირველი ხელოვნური თანამგზავრი, ხოლო მის შემდეგ კიდევ სერია თანამგზავრების, კოსმოსური რაკეტებისა და კოსმოსური ხომალდებისა და ამრიგად კაცობრიობას გზა გაუკაფეს კოსმოსში. პირველი ადამიანი, რომელმაც კოსმოსში შეაღწია და კოსმოსური ორბიტით შემოუფრინა მთელ დედამიწას, გახდა სსრ კავშირის მოქალაქე, კომუნისტი, ამჟამად მთელ მსოფლიოში ცნობილი კოსმონავტი მფრინავი იური გაგარინი. დღეს ჩვენ პატივს ვცემთ კოსმოსური ფრენის ახალ გმირს — გერმანე ტიტოვს, რომელიც ერთ დღეღამეზე მეტი ხნის განმავლობაში აწარმოებდა მეცნიერულ კოსმოსურ რეისს ჩვენი პლანეტის გარშემო და მშვიდობით დააბრუნა თავისი ხომალდი დედამიწის ნაპირებისაკენ. და ეს კვლავ საბჭოთა მოქალაქე და კვლავ კომუნისტია!

ჩვენი წარმატებანი კოსმოსური სივრცის შესწავლაში ასახავენ საბჭოთა ხალხის დიად მიღწევებს სოციალისტური სამშობლოს მძლავრი საწარმოო ძალების განვითარებაში, ასახავენ სოციალიზმის დიდ უპირატესობებს, იმას, რომ სოციალიზმი სჯობს კაპიტალისტურ სისტემას. დასავლეთი სამყაროს ყველაზე საღად მოაზროვნე წარმომადგენლებს არ შეუძლიათ არ აღიარონ, რომ სოციალიზმი სწორედ ის საიმედო სასტარტო მოედანია, საიდანაც საბჭოთა კავშირი უშვებს თავის კოსმოსურ ხომალდებს. კოსმონავტი მფრინავის ამხანაგ ტიტოვის გაფრენა კოსმოსურ ხომალდ „აღმოსავლეთ-2-ით“ საბჭოთა მეცნიერულ-ტექნიკური აზრის უბრალო მორიგი მიღწევა როდია, საბჭოთა ადამიანის უბრალო გულადობა და მამაცობა როდია. ეს ფაქტი უდიდეს ღირსშესანიშნავ შინაარსს შეიცავს. მასში თითქოს თავმოყრილია ჩვენი პირველხარისხოვანი ინდუსტრიის ძლიერებაც, საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის უმაღლესი მიღწევებიც, საბჭოთა წყობილების კეთილმყოფელი სასიცოცხლო ძალაც, წყობილებისა, რომელიც ავლენებს მასების ტალანტებსა და უნარს, ნამდვილ თავისუფლებას ანიჭებს ადამიანს აღმშენებლობითი შრომისა და შთაგონებული შემოქმედებისათვის. მასში, ამ შესანიშნავ ფაქტში, ასახულია ბრძოლისა და შრომის მთელი სახელოვანი გზაც, რომელიც ჩვენმა ხალხმა განვლო, ჩვენი სამშობლოს დღეევანდელი უძლეველი ძლიერებაცა და სიდიადეც, მისი სწრაფვაც წინ, ახალი სიმაღლეებისაკენ, მშვიდობის, ხალხთა თავისუფლებისა და მეგობრობის იდეალებისაკენ.

კოსმოსურ ხომალდ „აღმოსავლეთ-2-ზე“ ატომური ბომბები, რაიმე სხვა მომაკვდინებელი იარაღი როდი იყო. ისევე როგორც დედამიწის სხვა საბჭოთა ხელოვნური თანამგზავრები და კოსმოსური ხომალდები, იგი აღჭურვილი იყო მშვიდობიანი მეცნიერული ხელსაწყოებით, რომელთა საშუალებით ადამიანი მოწოდებულია განამტკიცოს თავისი ბატონობა ბუნებაზე, ადამიანთა სამსახურში ჩააყენოს ბუნების სიმდიდრე და საიდუმლოებანი. კონტინენტებზე გადაფრენისას საბჭოთა ადამიანი თავის სალამს უძღვნიდა დედამიწის ყველა ხალხს. საბჭოთა კოსმოსური ხომალდი კოსმოსის სივრცეებში ფრინავდა როგორც ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის მაუწყებელი.

ჩვენს მძლავრ რაკეტებს, რომლებსაც ბადალი არ მოეპოვებათ არც ერთ ქვეყანაში, ვიყენებთ მშვიდობიანი ამოცანების გადასაწყვეტად, სამყაროს შესახებ ჩვენი ცოდნის გასაფართოებლად და გასაღრმავებლად. ახალი მონაცემები, რომლებიც საბჭოთა მეცნიერებამ კოსმოსში უკანასკნელი ფრენის დროს მიიღო ყველა მეცნიერის, ყველა ხალხის კუთვნილება გახდება და ამრიგად კეთილ სამსახურს გაუწევს მთელი კაცობრიობის პროგრესის საქმეს, მშვიდობის საქმეს.

მშვიდობაზე, მთელი კაცობრიობის ბედნიერებაზე ფიქრობენ

★

მავზოლეუმის ტრიბუნაზე შემოდიან მოსწავლეები. მათ ყვავილთა თაიგულები მიართვეს ნ. ს. ხრუშჩოვს, კოსმონავტებს, ყველას ვინც ტრიბუნაზეა.

იწყება მოსკოველთა საზეიმო დემონსტრაცია. დედაქალაქის ყველა რაიონის წარმომადგენლები გამოვიდნენ დემონსტრაციაზე. გაისმის სიმღერები, მუსიკა. წითელ მოედანზე გაიარა მშრომელმა მოსკოვმა. მოდიან ხანშესულნი და ახალგაზრდა ადამიანები — მუშები, ინჟინრები, მოსამსახურეები, მეცნიერები, სტუდენტები, სახელოსნო სასწავლებელთა მოსწავლეები. სადაც გაიხედავ — ყველგან წითელი დროშებია. დემონსტრანტებს მოაქვთ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელთა პორტრეტები; ყველა ცნობს კოსმონავტების — იური გაგარინის და დღის გმირის გერმანე ტიტოვის სურათებს.

მოედანზე გაიკროლა ვერცხლისფერმა რაკეტამ, რომლის ბორტზეც წარწერილია: „აღმოსავლეთი-2“. ამის შემდეგ დემონსტრანტებს მოაქვთ ქსოვილი სიტყვებით „ჩვენ დაბადებული ვართ, რომ ზღაპარი სინამდვილედ ვაქციოთ!“. სწორედ ეს სიტყვები ყველაზე ზუსტად და სწორად მოწმობენ საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის დიდ მიღწევებს, ხომ საბჭოთა ადამიანებმა დაიწყეს ჩვენი გენიალური მეცნიერის კ. ე. ციოლკოვსკის შემართებული ოცნების განხორციელება, რომელიც ამბობდა: „დედამიწა გონების აკვანია, მაგრამ არ შეიძლება, მარად ვიცხოვროთ აკვანში“.

...მანეჟის მოედნიდან, გორკის ქუჩიდან წითელ მოედანზე შემოდიან სულ ახალი და ახალი კოლონები, ადამიანებს სახეზე ღიმილი უკრთის, ხელში ყვავილები, მწვანე ტოტები უჭირავთ, ქსოვილებზე ელვარებენ სიტყვები: „გაუმარჯოს კომუნიზმს!“, „დიდება ჩვენს სამშობლოს!“, „დიდება საბჭოთა კოსმოსური ხომალდების შემქმნელებს!“, „სკკპ XXII ყრილობას — ღირსეული შეხვედრა!“. დემონსტრანტები დღეგრძელობას უსურვებენ ხალხთა მშვიდობასა და მეგობრობას. მოედანზე აღმართა უზარმაზარი ბურთი — დედამიწის მაკეტი, რომელსაც გარს არტყია ცისფერი ლენტი წარწერით: „მშვიდობიანი თანაარსებობისათვის“.

...მოსკოველები გულითადად მიესალმებიან მამაც კოსმონავტს. დემონსტრანტთა რიგებიდან წამდაუწუმ გაისმის მხურვალე შეძახილები: „სალამი ტიტოვს!“, „დიდება ტიტოვს!“. ამით ისინი არა მარტო პატივს სცემენ ადამიანის არაჩვეულებრივ მამაცობას, გამბედაობასა და შემართებას, არამედ ეს არის აგრეთვე შეფასება მისი შრომისა, მისი დამსახურებისა მეცნიერების განვითარებაში.

დასასრულ დემონსტრანტებმა წითელ მოედანზე გაატარეს მაკეტი რაკეტისა „დედამიწა — მარსი — დედამიწა“. იქედან იყურებიან გოგონა და ბიჭუნა. მაკეტის ქვემოთ სიტყვებია: „ჩვენც ვიქნებით კოსმოსში!“... მოსკოველთა დემონსტრაციამ ორ საათს გასტანა. ორასი ათასმა კაცმა მიიღო მონაწილეობა დემონსტრაციაში.

ახალგაზრდა კოსმონავტმა მაიორმა გ. ს. ტიტოვმა მილიონობით ადამიანის გული მოინადირა. მისი დიდება მთელი ჩვენი დიადი საბჭოთა ქვეყნის დიდებაა.

(საკდესი).

მოსკოველები მხურვალედ მიესალმებიან გმირს.

ფოტო ვ. სმეტანინისა და ი. საშინისა.

ვნუკოვოს აეროდრომი. გმირი-კოსმონავტები გ. ს. ტიტოვი და ი. ა. გაგარინი პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს შორის. იური გაგარინი მხურვალედ ულოცავს თავის მეგობარს გერმანე ტიტოვს.

ფოტო ს. სმირნოვისა.

25 საათი კოსმოსში

კოსმონავტი გერმანე ტიტოვი მოგვითხრობს

8 აგვისტოს დღის პირველ ნახევარში ვოლგის მაღალ ნაპირზე მდებარე პატარა სახლში გაიმართა ჟურნალისტების მეგობრული შეხვედრა კოსმონავტ გერმანე ტიტოვთან. გერმანე სტეფანეს-ძეს დაუსვენია დაძაბული და ძნელი მუშაობის შემდეგ. იგი კარგად არის, თავს მხნედ გრძნობს. იგი იღიმება, ხუმრობს, გულითადად ესალმება იმათ, ვინც გააცილა ისტორიულ რეისში მსოფლიოს სივრცეებში კოსმოდრომზე, და იმათ, ვინც მას შეხვდა მიწაზე დაშვების რაიონში.

იწყება პრეს-კონფერენცია.

საბჭოთა კავშირის გმირმა ავიაციის გენერალ-ლეიტენანტმა ნ. პ. კამანინმა ჟურნალისტებს გააცნო კოსმოსის გმირი და სიტყვა მისცა მას.

გაიმართა თავისუფალი მეგობრული საუბარი, რომელშიც მონაწილეობს იური გაგარინიც. იგი აქ ჩამოფრინდა. გ. ს. ტიტოვს ბევრი კითხვა, სულ სხვადასხვა და ზოგჯერ მოულოდნელი კითხვებიც მისცეს.

შეკითხვაზე, თავს როგორ გრძნობთო, მაიორმა ტიტოვმა უპასუხა:

— ამას თქვენ თვითონ ხედავთ. ჩინებულად ვგრძნობ თავს. გუშინ მიწაზე დაშვების შემდეგ ძალიან და ძალიან კარგად შემხვდნენ ამხანაგები. აქ მოვედი აგარაკზე, ორ საათს ვისვენებ, დავტკბი საუცხოო სივრცეების ხილვით. ერთი სიტყვით, დავისვენე და მზად ვარ კვლავ დავიწყო მუშაობა.

ჩვენ ვუყურებთ ორ გმირს, ორ მეგობარს — გერმანე ტიტოვსა და იური გაგარინს. ერთი მათგანი ეს არის დაბრუნდა კოსმოსიდან. მეორემ ტრიუმფული მოგზაურობა დაამთავრა მსოფლიოს ქვეყნებში, იფრინა 30 ათასზე მეტი კილომეტრი. ერთიცა და მეორეც კაცობრიობის თვალში გახდა საბჭოთა ადამიანების უმაგალითო მამაცობისა და ნებისყოფის განსახიერება, საბჭოთა ადამიანებისა, რომლებიც კომუნიზმს აშენებენ თავიანთ მიწა-წყალზე. კაცობრიობა აღფრთოვანა იური გაგარინის დიადმა გმირობამ. კაცობრიობამ ახლა ღირსეულად შეაფასა აგრეთვე საბჭოთა ადამიანის, აგრეთვე კომუნისტის მეორე უდიდესი გმირობა.

დიახ ასეთი მიღწევები ძალუძს მხოლოდ საბჭოთა სახელმწიფოს, სადაც ყველაფერი კეთდება მეცნიერული პროგრესისათვის, უკეთესი ცხოვრებისათვის, იმისათვის, რომ ყველა ხალხს ბედნიერება და სიხარული ჰქონდეს დედამიწაზე.

კოსმონავტს მისცეს კითხვა:

— როგორი იყო თქვენი პირველი აზრი, პირველი გრძნობა, როცა დედამიწაზე დაბრუნდით და თქვენი თანამეგზამულენი დაინახეთ?

— მიწაზე რომ დავეშვი, გავიფიქრე: აი დამთავრდა მუშაობა, რომელშიც ჩვენი ქვეყნის ბევრი და ბევრი ადამიანი მონაწილეობდა. მე განვიცდიდი შესრულებული მოვალეობის გრძნობას, შეგნებული მქონდა, რომ დავალება, რომელიც მომცეს, შესრულებულია, და კვლავ მიწაზე, ჩვენს საბჭოთა მიწაზე ვარ.

გერმანე სტეფანეს ძე მოგვითხრობს, თუ როგორ დაეშვა მიწაზე:

— დავეშვი მოსავლის აღების შემდეგ მოხნულ მინდორში. ნიადაგი რბილი იყო. ეტყობა, კოლმეურნეებს კარგად ემუშავნათ.

ერთ-ერთ ჟურნალისტს აინტერესებს, თუ რამდენჯერ შეიცვალა დღე და ღამე ფრენის განმავლობაში.

ყოველი შემოვლის დროს, — უპასუხა მაიორმა ტიტოვმა, — ყოველი საათნახევრის შემდეგ ღამეს დღე სცვლიდა.

ამრიგად, ამბობს იგი ხუმრობით ერთ დღე-ღამეში 17 დღე და 17 ღამე გამოვიმუშავე.

კოსმონავტი გატაცებით ლაპარაკობს თავის ხომალდზე, როგორც თანამედროვე ტექნიკის ერთ-ერთ უაღრესად სრულყოფილ ქმნილებაზე.

— იგი ადვილი სამართავია, — ამბობს მაიორი ტიტოვი, — შეიძლება ორიენტირება ყოველ მდგომარეობაში, წაყვანა საითაც საჭიროა და მიწაზე დაშვება სადაც საჭიროა. ფრენის დროს თავს ხომალდის ბატონ-პატრონ პილოტად ვგრძნობდი. იგი ემორჩილებოდა ჩემს ნებას, ჩემს ხელს.

გერმანე ტიტოვი განსაკუთრებული გულითადობით ლაპარაკობს კოსმოსური ხომალდის „აღმოსავლეთი-2“ შემქმნელ მეცნიერთა, კონსტრუქტორთა, ინჟინერთა და მუშათა შესახებ. ესენი არიან არა მარტო შესანიშნავი სპეციალისტები, არამედ აგრეთვე მშვენიერი გულითადი ადამიანებიც. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან დატვირთული არიან საქმით, ისინი გამონახავდნენ ხოლმე დროს, რათა ესაუბრათ მასთან, გაეცათ პასუხი კოსმონავტის ყველა კითხვაზე, რომელიც ესოდენ უჩვეულო მოგზაურობისათვის ემზადებოდა.

იგი ქებით იხსენიებს მეცნიერთა და მუშათა კოლექტივებს, რომელნიც მონაწილეობდნენ ხომალდის შექმნასა და გასაფრენად მის მომზადებაში.

— მინდა მადლობა გადავუხადო მათ, ისევე როგორც მთელ საბჭოთა ხალხს. დიდი მადლობა მას, ფრენის დროს ფიქრობდი ჩვენს ნიჭიერ ხალხზე, ჩვენს სამშობლოზე, სახელოვან კომუნისტურ პარტიაზე და ვცდილობდი ყველაფერი ისე მეკეთებინა, რომ ეს კოსმოსური რეისი წარმატებით დამთავრებულიყო.

გერმანე ტიტოვს რომ უსმენ, უნებლიედ დაადგები იმ აზრს, რომ კოსმონავტს, ახალი გმირული პროფესიის წარმომადგენელს უნდა ჰქონდეს უაღრესად მრავალფეროვანი ცოდნა, პილოტი აღჭურვილი უნდა იყოს გეოფიზიკით, ასტრონომიით, მექანიკითა და ბევრი სხვა რამით. კოსმონავტიკა ხომ ყოვლისმომცველი მეცნიერებაა. და როცა გერმანე სტეფანეს-ძეს ეკითხებიან, რამდენად რთულია შენი პროფესიაო, იგი ამბობს:

— ყოველი პროფესია თავისებურად რთული და საინტერესოა. თუ ადამიანმა მიაგნო თავის მოწოდებას, შრომა მისთვის სიხარული ხდება. რაც უფრო მეტი გეცოდინება, მით უფრო ხასარგებლო იქნები საქმისათვის. სტარტი, ფრენა და ფინიში, — განაგრძობს კოსმონავტი, — ყველაფერი თავისებურად ძნელია, ყველაფერს თავისი თავისებურებანი აქვს. მთელი კოსმოსური ფრენა ძნელი სამუშაოა.

კითხვა: როგორ გადაიტანეთ უწონადობის ხანგრძლივი მდგომარეობა?

პასუხი: რაც მთავარია — უწონადობა არ იწვევს ადამიანის შრომის უნარიანობის დარღვევას. უწონადობაში შეიძლება იცოცხლო და იმუშაო. კოსმონავტისათვის მიცემული მთელი მეცნიერული პროგრამა ფრენის პერიოდისათვის სავსებით შესრულებულია. აი საუკეთესო დადასტურება იმისა, რომ უწონადობა საშიში არ არის. უწონადობის მდგომარეობა შეწყდა. როცა დაიწყო ხომალდის დაშვება. ერთი მდგომარეობიდან მეორეში მკვეთრი გადასვლა არ იგრძნობოდა. პირდაპირ დავუბრუნდი წინანდელ, ჩვეულ, მიწიერ მდგომარეობას.

— როგორ გეძინათ კოსმოსში? — ეკითხება კოსმონავტს ერთ-ერთი ჟურნალისტი. — და რა სიზმრები ნახეთ?

დამსწრეთა სიცილში კოსმონავტი უპასუხებს, მე ყოველთვის კარგად მძინავს და სიზმარს არასოდეს არ ვნახულობო.

— ვის სცალია სიზმრის სანახავად,— ხუმრობით ამბობს იგი, — ძილში უნდა დაისვენო. ფრენის დროს კარგად გამოვიძინე. მართალია ბუმბულის ლოგინი არ მქონდა, მაგრამ გამოძინება შეიძლება.

კითხვა: რა ნახეთ ფრენის დროს?

პასუხი: ბევრი რამ ვნახე და ყველაფერს მოკლე საუბარში ვერ გიამბობთ. ჩვენი დედამიწა შესანიშნავია. ცისფერი შარავანდედი მის გარშემო ძალიან ლამაზია. მშვენიერი სანახაობაა! ცა ოდნავ უფრო მუქია, ვიდრე ჩვენი ქვეყნის სამხრეთში. მზე თვალისმომჭრელად კაშკაშაა და მას ვერც შეხედავს ადამიანი. მთვარე ორჯერ დავინახე, იგი ცხრებოდა. მთვარის ნამგალი ისეთივეა, როგორსაც დედამიწიდან ვხედავთ. მთვარე რომ დავინახე, კიდევაც გამიხარდა და მოვიგონე ბავშვობაში ჩემი საყვარელი მოთხრობა გოგოლისა „ღამე შობის წინ“ იმის შესახებ, რომ ეშმაკმა მოიტაცა მთვარე. შთაბეჭდილება ისეთია, თითქოს კოსმოსური ხომალდი ერთ ადგილას იყოს, მთვარე კი სწრაფად მიცურავდეს ილუმინატორის გვერდით.

კოსმონავტს მისცეს კითხვა: თუ დაემთხვა თქვენი განცდილი და შთაბეჭდილებანი იმას, რაც იური გაგარინმა ნახა და განიცადა კოსმოსში ყოფნის დროს?

— ყველაფერი საკვირველია ერთმანეთს, — უპასუხებს მაიორი ტიტოვი. იური გაგარინი, რომელიც გულდასმით ისმენს საუბარს, დასძენს:

— რა თქმა უნდა, ჩემმა მეგობარმა გერმანე სტეფანეს-ძემ გაცილებით მეტი ნახა და განიცადა, ვიდრე მე.

როგორც ცნობილია კოსმოსური ხომალდზე „აღმოსავლეთი-2“ სხვადასხვაგვარ რადიოაპარატურასთან ერთად დადგმული იყო ფართომაუწყებლობის მიმღებები.

ჟურნალისტებს აინტერესებთ, თუ რა ფართომაუწყებლობის რადიოგადაცემები მოისმინა კოსმონავტმა დედამიწიდან.

უწინარეს ყოვლისა გავიგონე ხმა დიქტორ ლევიტანისა, რომელიც გადასცემდა საკდესის ცნობას იმის შესახებ, რომ კოსმოსში გაუშვეს კოსმოსური ხომალდი და რომ მას მართავს საბჭოთა მოქალაქე ტიტოვი. — კოსმონავტს გაეღიმა და დასძინა, შემდეგ გამოვრთე მიმღები, რადგან დაწვრილებით ვიცოდი გაშვების ამბავი. მოვისმინე მსოფლიოს ბევრი ქვეყნის რადიოსადგურები. სიამოვნებით ვისმენდი შტრაუსის შესანიშნავ ვალსებს. ეთერში ისმოდა როგორც ჩვენი მშობლიური, ისე უცხო ხმები. გამიხარდა, როცა საზღვარგარეთული ჯაზის დოლის ბრახუნში მომესმა გულშიჩამწვდომი რუსული სიმღერა „მოსკოვური საღამოები“, შემდეგ კი გაისმა მხნე „მარში ენთუზიასტებისა“.

დედამიწის მეორედ შემოვლის დროს რადიოთი მოვახსენე ნიკიტა სერგისძე ხრუშჩოვს, ფრენა წარმატებით მიმდინარეობს მეთქი. ნიკიტა სერგის-ძის საპასუხო რადიოდეპეშამ გული ამიჩუყა და კინალამ ცრემლები მომგვარა. ფრენის რთულ პირობებში ეს მამობრივი დარიგება ძალიან დამეხმარა. ვიგრძენი რომ უფრო მტკიცე, უფრო ძლიერი გავხდი. ნიკიტა სერგის-ძის მისალმება შეიცავდა მთელი ხალხის, პარტიისა და მთავრობის მხარდაჭერას. მე მარტო არ ვიყავი მსოფლიო სივრცეებში, მე მილიონობით საბჭოთა ადამიანთან ერთად ვიყავი.

უკვე რამდენჯერმე მქონდა შემოვლილი პლანეტა, განაგრძო კოსმონავტმა, როცა მოვიდა მეგობრული სალამი იური გაგარინისა, რომელიც ამერიკაში იყო.

რაკი იცოდნენ, რომ გერმანე ტიტოვი მუსიკით არის გატაცებული, მას შეეკითხნენ კომპოზიტორებში ყველაზე მეტად ვინ მოგწონსო.

— გლინკა და ჩაიკოვსკი მიყვარს. ჩემი საყვარელი ოპერაა „რუსლანი და ლიუდმილა“, — უპასუხა კოსმონავტმა.

რა თქმა უნდა, ყველას აინტერესებს რატომ აირჩია ამა თუ იმ ადამიანმა, ესა თუ ის პროფესია. რატომ გახდა კოსმონავტი გერმანე ტიტოვი? ტექნიკის სიყვარულმა მიიყვანა იგი ავიაციაში.

— მფრინავის პროფესია მომწონს,— ამბობს გერმანე სტეფანეს-ძე. — ბავშვობიდან მიყვარს ტექნიკა. აი ამიტომ შევისწავლე შოფრობა, ხოლო როცა დადგა დრო — ამერჩია სპეციალობა, უყოყმანოდ გავხდი მფრინავი. კიდევ უფრო დიდი სიხარულით გავხდი კოსმონავტი.

პრეს-კონფერენციის დასასრულს ჟურნალისტებმა მიულოცეს გერმანე სტეფანეს-ძე ტიტოვს მისი ცხოვრების დიდმნიშვნელოვანი მოვლენა: სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა ლენინური პარტიის წევრად მიიღო იგი. ამის პასუხად გერმანე სტეფანეს-ძემ თქვა:

— უსაზღვრო მადლობას ვუძღვნი ჩვენი პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომელმაც ასეთი ნდობა გამომიცხადა. როგორ არ ვიამაყო, როგორ არ გავიხარო, რომ მე, ახალგაზრდა ოფიცერი, ლენინის დიდი პარტიის რიგებში მიმიღეს. პირობას ვაძლევ სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, საბჭოთა მთავრობას, რომ კვლავაც ისე შევასრულებ ყველა დავალებას, როგორც კომუნისტს შეფერის.

ჩვენი საუბარი მთავრდება. გერმანე ტიტოვი გვთხოვს გადავცეთ მკითხველებს, მთელ საბჭოთა ხალხს მხურვალე სალამი და ახალი წარმატებანი ვუსურვოთ ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეო მუშაობაში.

ა. რომანოვი,
საკდესის სპეკკორესპონდენტი.
კოსმოსური ხომალდის „აღმოსავლეთი-2“ მიწაზე დაშვების რაიონი,
8 აგვისტო.

ძვირფასი სტუმრების გულითადი გაცილება

9 აგვისტოს დილით რუმინეთის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია, რომელსაც რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე გეორგე გეორგიუ-დეჟი მეთაურობს, გაანგრძობს რა საბჭოთა კავშირში მოგზაურობას, კიევს გაფრინდა.

ორი დღე დაჰყვეს რუმინელმა მეგობრებმა საქართველოში. მათი ყოფნა აქ გადაიქცა საბჭოთა კავშირ-რუმინეთის მეგობრობის, დიადი სოციალისტური ბანაკის ერთიანობისა და შეკავშირების აღმფრთოვანებელ დემონსტრაციად. როცა რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენლებს აცილებდნენ, საქართველოს მშრომელებმა კვლავ გამოხატეს ყველაზე მხურვალე ძმური გრძნობები რუმინელი ხალხისადმი.

მიუხედავად იმისა, რომ აღრე იყო, რესპუბლიკის დედაქალაქის ქუჩებში და მოედნებზე გამოვიდა უამრავი მცხოვრები. მათ ხელში უკავიათ დეკორაციული ალმები, ყვავილები. მთელ გზაზე აეროდრომამდე თბილისელები გულთბილად მიესალმებოდნენ ძვირფას სტუმრებს.

რუმინეთის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის გასაცილებლად აეროდრომზე მოვიდნენ ვ. პ. მეჟავანაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, გ. ს. ძოწენიძე, პ. ვ. კოვალოვი, გ. ი. ქადაგიძე, ფ. დ. დუმბაძე, მ. ი. ტუქაკა, ა. ნ. ინაური, გ. ა. გეგეშიძე, ი. გ. რთველიაშვილი, ე. ა. შეკარდნაძე, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი გენერალ-პოლკოვნიკი ა. ტ. სტუხენკო, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ა. ე. მელაძე, საქართველოს სსრ მინისტრები, რესპუბლიკურ უწყებათა ხელმძღვანელები, წარმოების მოწინავენი, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

აეროპორტის შენობასთან, რომელიც მორთულია რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის, საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ალმებით, შეიკრიბნენ რესპუბლიკის დედაქალაქის ასობით მშრომელნი. შეკრებილნი მჭუხარე ოვაციითა და მხურვალე მისალმებებით შეხვდნენ გეორგე გეორგიუ-დეჟს, რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს, სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს იონ გეორგე მაურერს, რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანს ნიკოლაე ჩაუშესკუსა და დელეგაციის სხვა წევრებს, როცა ისინი აეროდრომზე მოვიდნენ.

საპატიო ყარაულის უფროსმა მათ პატაკი მისცა. გეორგე გეორგიუ-დეჟმა, იონ გეორგე მაურერმა ვ. პ. მეჟავანაძის, გ. დ. ჯავახიშვილისა და გ. ს. ძოწენიძის თანხლებით ჩამოუარეს საპატიო ყარაულის მწყობრს. შემდეგ რუმინელი ხალხის წარმომადგენლები მიესალმნენ აეროდრომზე შეკრებილ ქალაქის მშრომელთა წარმომადგენლებს.

მიკროფონთან მიდის ვ. პ. მეჟავანაძე, რომელიც მისასალმებელი სიტყვით მიმართავს რუმინელ მეგობრებს.

ამხანაგ ვ. პ. მეჟავანაძის სიტყვა

ძვირფასო ამხანაგო გეორგე გეორგიუ-დეჟ!

ძვირფასო ამხანაგო იონ გეორგე მაურერ!

ძვირფასო ამხანაგებო, მეგობრებო!

კიდევ რამდენიმე წუთი და თქვენ დატოვებთ ჩვენს ქალაქ თბილისს, ჩვენს საქართველოს. ორი დღე მეტად მოკლე გადაა იმისათვის, რომ კარგად გაეცნო რესპუბლიკის ცხოვრებას, ხალხის ცხოვრებას. მაგრამ ამ მხრივ, თუ შეიძლება ასე ითქვას, ამოცანა ახლა გადდებულია: ჩვენთვის ძნელი არ არის კარგად გავუგოთ, სწორაფად დავუახლოვდეთ ერთმანეთს, რამდენადაც ჩვენი ერთობლივი ბრძოლის, ჩვენი ხალხების თავდადებული შრომის მიზანი და იდეალები ერთიანია. ეს არის მსოფლიოში ყველაზე მოწინავე და სამართლიანი წყობილების — კომუნისტური საზოგადოების აშენება. ეს არის ბრძოლა მთელი მსოფლიოს მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის.

მე ვფიქრობ, თქვენ, ძვირფასი მეგობრები, დარწმუნდით, რომ საქართველოს მშრომელები, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, ჩვენი მუშათა კლასი, მშრომელი გლეხობა, ინტელიგენცია ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა ღირსეულად შეხვდნენ მშობლიური საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობას, კონკრეტული საქმეებით უპასუხონ პარტიისა და მთავრობის, პირადად ამხანაგ ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვის მამობრივ ზრუნვას. ამის საწინდარია მასობრივი პოლიტიკური და შრომითი ენთუზიაზმი, რომელიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ახალი პროგრამის პროექტის გამოქვეყნებამ გამოიწვია.

ნება მიბოძეთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს სახელით, საქართველოს კომუნისტების, ყველა მშრომელის სახელით გისურვოთ თქვენ, ძვირფასო ამხანაგო გეორგე გეორგიუ-დეჟ, ძვირფასო ამხანაგო მაურერ, რუმინეთის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრებს, მთელ მოძმე რუმინელ ხალხს ახალი შესანიშნავი გამარჯვებები სოციალისტურ მშენებლობაში, დიდი, ნამდვილი ბედნიერება პირად და საზოგადოებრივ ცხოვრებაში!

გზა მშვიდობისა, ძვირფასო მეგობრებო! ჩვენ არ გეთხოვებით. ჩვენ გეუბნებით: ნახვამდის, ახალ შეხვედრამდე!

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა გეორგე გეორგიუ-დეჟმა.

ამხანაგ გეორგე გეორგიუ-დეჟის სიტყვა

ძვირფასო ამხანაგო მეჟავანაძე!

ძვირფასო ამხანაგო ჯავახიშვილო!

ძვირფასო ამხანაგო ძოწენიძე!

ძვირფასო ამხანაგებო და მეგობრებო!

ვიდრე საქართველოს დავტოვებდეთ, ნება მიბოძეთ გულწრფელი მადლობა გადაგიხადოთ ამხანაგური გულითადობისათვის, რაც თქვენ გამოიჩინეთ ჩვენდამი, ყოველივე იმისათვის, რაც გაკეთეთ იმისათვის, რომ ჩვენი აქ ყოფნა რაც შეიძლება ნაყოფიერი და სასიამოვნო ყოფილიყო.

ჩვენ თან მიგვაქვს დიდი შთაბეჭდილებანი ძმური გრძნობების გამო, რითაც საქართველოს მშრომელები გამსჭვალული არიან რუმინელი ხალხისადმი, ენთუზიაზმის გამო, რომლითაც ქართველი ხალხი ახორციელებს კომუნისტური პარტიის ლენინურ პოლიტიკას და საბჭოთა კავშირის სხვა ხალხებთან ერთად მიდის კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის გზით.

გეთხოვებით და სულითა და გულით გისურვებთ ახალ დიდ წარმატებებს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის აყვავებისათვის, მშრომელთა ბედნიერებისა და კეთილდღეობისათვის მუშაობაში.

ნახვამდის, ძვირფასო ამხანაგებო!

წუთებიღა რჩება გამგზავრებამდე. გეორგე გეორგიუ-დეჟი და რუმინეთის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრები მაგრად ართმევენ ხელს საქართველოს სს რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს. გეორგე გეორგიუ-დეჟი მისალმების ნიშნად ხელს აქნევს, მიმართავს შეკრებილთ და ამბობს: „ნახვამდის, ძვირფასო ამხანაგებო, მეგობრებო!

— გზა მშვიდობისა, ძვირფასო მეგობრებო, გადაეცით ჩვენი სალამი რუმინელ ხალხს, — გაისმის პასუხად.

პიონერებმა ყვავილები მიართვეს დელეგაციის წევრებს.

9 საათზე „ილ-18“ სპეციალურმა თვითმფრინავმა კურსი აიღო უკრაინის დედაქალაქ კიევისაკენ. (საქდესი).

რუმინელი სტუმრები უკრაინის მიწაწყალზე

კიევი, 9 აგვისტო. (საკდესი). დღეს თბილისიდან კიევში ჩამოვიდა რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანისა და რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის გეორგე გეორგიუ-დეჟის მეთაურობით, რომელიც სტუმრად არის საბჭოთა კავშირში.

სადღესასწაულოდ მორთულ ბორისპოლსკის აეროდრომზე რუმინელ მეგობრებს გულთბილად შეხვდნენ უკრაინის კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ნ. ვ. პოდგორნი, უკრაინის საბჭოს თავმჯდომარის გეორგე გეორგიუ-დეჟის მეთაურობით, რომელიც სტუმრად არის საბჭოთა კავშირში.

სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე დ. ს. კოროტჩენკო, უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვ. ვ. შჩერბიცკი და რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელები, უკრაინის დედაქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

ჩვენს ქვეყანაში

ვ. ი. ლენინის თხზულებათა მეოცე ტომი

გამოვიდა ვ. ი. ლენინის თხზულებათა სრული კრებული მეოცე ტომი, რომელიც მოამზადა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტმა და გამოსცა პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ. ტომში შედის ნაწარმოებები, დაწერილი ვ. ი. ლენინის მიერ 1910 წლის ნოემბრიდან 1911 წლის ნოემბრამდე, რუსეთში ახალი რევოლუციური აღმავლობის გაძლიერების პერიოდში.

ტომში ძირითადი ადგილი უკავია სტატიებს, რომლებიც მიძღვნილია პარტიის ერთიანობისათვის, ლიკვიდატორების, ტროცკისტების, უტზოვისტებისა და შემარიგებლების წინააღმდეგ ბრძოლისადმი. დოკუმენტების ამ ჯგუფს მიეკუთვნება მასალები, რომლებიც დაკავშირებულია რსდმპ ცენტრალური კომიტეტის წევრების ივნისის თათბირის მომზადებასა და მუშაობასთან, რაც 1911 წლის 28 მაისს — 4 ივლისს (10-17 ივნისს) გაიმართა პარიზში და დიდმნიშვნელოვანი ეტაპი იყო ბოლშევიკების ბრძოლისა რსდმპ საერთო პარტიული კონფერენციის მოწვევისათვის. ტომში პირველად ქვეყნდება მოხსენება პარტიაში არსებული მდგომარეობის შესახებ, რაც ვ. ი. ლენინმა დაწერა ივნისის თათბირის წინ და ლენინის რვა გამოსვლა თათბირზე.

ტომში დიდი ადგილი უკავია სტატიებს, რომლებშიც ასახულია ლენინის ბრძოლა მარქსისტული თეორიის სიწმინდისათვის, საერთაშორისო ოპორტუნიზმის მხრივ ამ თეორიის დამახინჯებისაგან დაცვა, ოპორტუნიზმისა, რომლის გამოვლინება იყო რუსეთში ლიკვიდატორობა და ოტზოვიზმი. ასეთია სტატიები „უთანხმოება ევროპის მუშათა მოძრაობაში“, „მარქსიზმის ისტორიული განვითარების ზოგიერთი თავისებურებანი“, „რეფორმიზმი რუსეთის სოციალ-დემოკრატიაში“ და სხვ.

ლ. ნ. ტოლსტოისადმი ნაძღვნილ სტატიებში — „ლ. ნ. ტოლსტოი“, „ლ. ნ. ტოლსტოი და თანამედროვე მუშათა მოძრაობა“, „ტოლსტოი და პროლეტარული ბრძოლა“, „ლ. ნ. ტოლსტოი და მისი ეპოქა“, ლენინი აძლევა დიდი რუსი მწერლის ლიტერატურული მემკვიდრეობის და მთელი კაცობრიობის მხატვრულ განვითარებაში მისი მნიშვნელობის ღრმა ანალიზს. (საკდესი).

მასალები სკკპ პროგრამის პროექტისათვის

მოსკოვი, 7 აგვისტო. (საკდესი). პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ გამოუშვა თვალსაჩინო მასალები სკკპ პროგრამის პროექტის მეორე ნაწილისათვის.

ფერადი პლაკატები მიძღვნილია პარტიისა და საბჭოთა ხალხის მთავარი ეკონომიური ამოცანის განხორციელებისადმი, გვიჩვენებენ ჩვენს ქვეყანაში აყვავებული, ყოველმხრივ განვითარებული მაღალპროდუქტიული სოფლის მეურნეობის შექმნის გზებს. დიდ ინტერესს წარმოადგენს აგრეთვე თვალსაჩინო მასალები, რომლებიც ასახავენ საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის სწრაფ გაუმჯობესებას.

თორმეტივე პლაკატი მხატვრულად არის გაფორმებული. მათი ტირაჟია 100 ათასი ცალი.

ეილიონი ტირაჟით

პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ გამოუშვა ბროშურა „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წესდების პროექტი“.

ბროშურის ტირაჟია 1 მილიონი ცალი. (საკდესი).

ჩვენი ქვეყნის ხაამაყო შვილის მაიორ გერმანე ტიტოვის გმირობა საყოველთაო უურადღების ცენტრშია.

სურათზე: თბილისის ჰიდრომეტეოროლოგიური ხელსაწყოების ქარხნის ეზოში მუშები ათვალიერებენ გაზეთებს, სადაც მოთხრობილია გ. ს. ტიტოვის გმირობაზე.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

სიმართლისა და გონების მძლავრი ხმა

გამოხმაურება უცხოეთში ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლაზე რადიოთი და ტელევიზიით 1961 წლის 7 აგვისტოს

საერთაშორისო დეკენები, ცნობები, მიმოხილვა

ვარშავა

ვარშავა, 8 აგვისტო. (საკდესი). ნ. ს. ხრუშჩოვის მკაფიო გამოსვლა რადიოთი და ტელევიზიით მთელი პოლონური პრესისა და რადიოს ყურადღების ცენტრშია. გაზეთები აქვეყნებენ გამოსვლის ტექსტს, მის კომენტარებსა და ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვის პორტრეტს.

გამოსვლის იმ ნაწილში, რომელიც მიეძღვნა საერთაშორისო მდგომარეობას, წერს „ტრიბუნა ლუდუ", ხრუშჩოვმა კიდევ ერთხელ მიმართა დასავლეთის პასუხისმგებელ სახელმწიფო მოღვაწეთა გონებას. არ შეიძლება დავუშვათ, რომ დასავლეთ გერმანიის აგრესიისა და რევანშის ძალები კვლავ მიაჭანებდნენ მსოფლიოს უფსკრულისაკენ დასავლეთის სახელმწიფოების მთავრობათა მხარდაჭერით და მონაწილეობით, რომლებიც დაბრმავებული არიან კლასობრივი სიძულვილით სოციალისტური სახელმწიფოებისადმი. სწორედ ამიტომ სოციალისტურ სახელმწიფოებს, რომლებსაც მტკიცედ აქვთ დადაწყვეტილი გზა გადაუღობონ რბევ, აკ შეუძლიათ გულხელდაკრეფილებმა უყურონ სომარ მზადებას.

მთელი სიმტკიცით, განაგრძობს გაზეთი, საბჭოთა მთავრობის მეთაურმა გააფრთხილა დასავლეთის სახელმწიფოები არ განაგრძონ თამაში, რომელიც საფრთხეს უქმნის მშვიდობას, ხელი აიღონ გამალებული შეიარაღების გაძლიერებასა და მუქარის ტაქტიკაზე. მან წარმოადგინა უშიშროების კონკრეტული ღონისძიებანი, რომელთა განხორციელება მტკიცედ აქვს დადაწყვეტილი სსრ კავშირს.

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლა, წერს დასასრულ გაზეთი, მგზნებარე მოწოდებაა უკლებლივ ყველა ხალხისა და მთავრობის მშვიდობისმოყვარე ღონისძიებათა და კეთილი ნების გაერთიანებისათვის. იგი მიმართავს დასავლეთის სახელმწიფოების მთავრობათა გონებასა და რეალიზმის გრძნობას. ამასთან ერთად ეს გამოსვლა დიდნაწილოვანი გაფრთხილებაა იმპერიალისტების მიმართ, რომლებსაც უნდა მოაგონონ, რომ თერმოტომგულისა და რაკეტული იარაღის ეპოქაში არ უნდა იყოს თვითმკვლელობის აკვიატებული იდეა, რომელიც ახასიათებს მთა პოლიტიკას, რადგან ხალხებს არ სურთ ჩაიდინონ და არც ჩაიდენენ თვითმკვლელობას.

სოფია

სოფია, 8 აგვისტო. (საკდესი). საბჭოთა მთავრობის მეთაურის ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლამ რადიოთი და ტელევიზიით უაღრესად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ბულგარეთის საზოგადოებრიობის ფართო წრეებზე თავისი უკიდურესი სიცხადით, ღრმა არგუმენტაციით, საბჭოთა კავშირის ძალისა და ძლიერების მტკიცე რწმენით, რომელიც თანმიმდევრულად და შეუპოვრად იბრძვის მსოფლიოს ყველა ქვეყანას შორის მშვიდობისა და ურთიერთგაგებისათვის, განურჩევლად საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილებისა.

ბულგარეთის ყველა ცენტრალურმა გაზეთმა დაბეჭდა ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლის სრული ტექსტი და მისი პორტრეტი. დიდრონ სათაურებში გაზეთები აღნიშნავენ საბჭოთა კავშირის ახალ შესანიშნავ ღონისძიებას — გადაჭრას სადავო საკითხები მშვიდობიანი გზით, საბჭოთა მთავრობის მოწოდებას დასავლეთის ქვეყნების მთავრობებისადმი ერთად მიუსხდნენ მოლაპარაკების მრგვალ მაგიდას.

კომენტარებში, რომლებიც გადასცა ბულგარეთის დეპეშათა სააგენტომ, ხაზგასმით აღნიშნულია, რომ ბულგარელი ხალხი სავსებით უჭერს მხარს იმ იდეას, რომელიც ასახულია ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლაში, რომ მხოლოდ ყველა ხალხისა და მთავრობის ღონისძიებათა მეთოდით შეიძლება გამმარჯვოს მშვიდობიანი თანაარსებობის დიადმა პრინციპებმა.

ლონდონი

ლონდონი, 8 აგვისტო. (საკდესი). ლონდონის მთელი დღევანდელი პრესა ყველაზე თვალსაჩინო ადგილს დიდრონი სათაურებით ათავსებს ნ. ს. ხრუშჩოვის რადიოთი და ტელევიზიით გუშინდელი გამოსვლის დაწერილებითს შინაარსს.

გაზეთები მთავარ ყურადღებას აქცევენ ნ. ს. ხრუშჩოვის ნათქვამს იმის შესახებ, რომ საჭიროა ხელი მოაწერონ გერმანიის საზავო ხელშეკრულებას და აღნიშნავენ საბჭოთა მთავრობის მეთაურის გამოსვლის მტკიცე, მაგრამ დინჯ კილოს, მის საღ და ფხიზელ მიდგომას რთული საერთაშორისო პრობლემებისადმი. ეს ჩანს გაზეთების სათაურებიდან. „ხრუშჩოვი მოუწოდებს „გულწრფელი მოლაპარაკებისათვის" („დეილი მიროორი"); „აღმოსავლეთ გერმანიის საზავო ხელშეკრულება ვერ მოითმენს", „ბერლინი არ უნდა გახდეს მეორე სარაევო" („ტაიმსი"). „დეილი ექსპრესი" შავი შრიფტით გამოჰყოფს ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვებს, რომ საბჭოთა კავშირს არ სურს ვინმესთან იომოს, რომ მას „არ სჭირდება არავისი ტერიტორია, არავისი სამდიდრე".

„როცა ნიკიტა ხრუშჩოვი მოუწოდებს ერებს თავი შეიკავონ „ომის ფსიქოზისაგან" —წერს „დეილი ექსპრესი", — მისი მოწოდება ყოველთვის აღწევს პირდაპირ ადამიანთა გულს". „დეილი ექსპრესი" აცხადებს, რომ ყველა საფუძველია იმისა, რომ დაიწყოს დასავლეთ ბერლინის საკითხის გულახდილი განხილვა.

„დეილი ტელეგრაფი" აღნიშნავს, რომ შესაძლებელია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისაგან მიიღონ გარანტიები თავისუფალ ქალაქ დასავლეთ ბერლინის სტატუსის უზრუნველსაყოფად, აგრეთვე მოუწოდებს დასავლეთს გამოიჩინოს ინიციატივა ამ საკითხში.

მოლაპარაკებისათვის მოუწოდებენ დღეს „დეილი მეილი" და „დეილი ჰერალდი". „დეილი მეილი" გაფრთხილებას იძლევა გერმანიის პრობლემების შესახებ მოლაპარაკების გაჭიანურების წინააღმდეგ და წერს: „საფრთხე ის არის, რომ რაც უფრო შორს ვდგავდება უმაღლესი დონის თათბირი, ჩვენ ყველანი მით უფრო მიეჯახლოვდებით საბოლოო აფეთქებას". „დეილი ჰერალდი" თავის მხრივ პირდაპირ აღიარებს: „ჩვენი პოლიტიკური გაკოტრება არსად ისე აშკარა და იმდენად სამში არ არის, როგორც ბერლინთან დაკავშირებით".

„დეილი უორკერი" სარედაქციო სტატიაში საბჭოთა მთავრობის მეთაურის გამოსვლის კილოს თავშეკავებულს უწოდებს, ითვალისწინებს რა „დასავლეთის სახელმწიფოთა ხელმძღვანელების ისტერიულ გამოხდომებს დასავლეთ ბერლინის პრობლემის გამო".

ათენი

ათენი, 8 აგვისტო. (საკდესი). რადიოთი და ტელევიზიით ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა საბერძნეთის საზოგადოებრიობასა და პოლიტიკურ წრეებზე.

გავლენიანი ბურჟუაზიული გაზეთი „კატიმერინი", რომელიც ორ გვერდზე ათავსებს გამოსვლის შინაარსს, აბასიათებს მას როგორც გამოსვლას მოლაპარაკების გზით გერმანული პრობლემის გადაჭრისათვის, მშვიდობისათვის, ომის წინააღმდეგ.

გაზეთის აზრით, დასავლეთის სახელმწიფოებმა არ უნდა შექმნან ილუზიები ხრუშჩოვის გაფრთხილების გამო იმ საშინელი შედეგების შესახებ, რომლებამდეც ისინი მიიყვანენ თავიანთ ქვეყნებს, თუ მესამე მსოფლიო ომი დაიწყეს. ხრუშჩოვმა ერთხელ კიდევ გაუსვა ხაზი, რომ საბჭოთა კავშირს მოეპოება საჭირო სამხედრო ძალა, რათა მესამე მსოფლიო ომის შემთხვევაში გამანადგურებელი დარტყმა მიაყენოს ამერიკის შეერთებული შტატებისა და ყველა მათი მოკავშირის ტერიტორიებს, მოკავშირეებისა, რომელთა ტერიტორიებზეც განლაგებულია ამერიკის ბაზები.

გაზეთი ხაზს უსვამს, რომ ხრუშჩოვმა მოუწოდა ამერიკის, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებს მიუსხდნენ მოლაპარაკების მრგვალ მაგიდას, რათა გაიწმინდოს საერთაშორისო ატმოსფერო ომის ფსიქოზისაგან, მოუწოდა იმისათვის, რომ საერთაშორისო ურთიერთობაში გაბატონებული იყოს გონების ენა და არა წყალბადის ბომბების ენა. არ უნდა დავივიწყოთ, რომ თუ დასავლეთი არ დათანხმდა მოლაპარაკებაზე, ხრუშჩოვი ასე თუ ისე მოაწერს ხელს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საზავო ხელშეკრულებას, აღნიშნავს გაზეთი.

„ხრუშჩოვი გერმანიის საკითხზე-მოლაპარაკების მომხრეა, — აღნიშნავს „ელეფთერია". — საბჭოთა კავშირის საბოლოო ღონისძიებანი გამოწვეულია თავდაცვის საჭიროებებით და დასავლეთის საომარი მზადებით"...

„ავგი" ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლას ახასიათებს როგორც მტკიცე ბრძოლას მშვიდობის დასაცავად და მრისხანე გაფრთხილებას ომის გამჩაღებლებისადმი. ხრუშჩოვის მოწოდება მსოფლიოს ხალხებისადმი —გააძლიერონ ბრძოლა მშვიდობის, მშვიდობიანი თანაარსებობის საქმის გამარჯვებისათვის, სრული და საყოველთაო განიარაღებისათვის, დიდ გამოხმაურებას პოულობს ბერძენ ხალხში, ხაზს უსვამს გაზეთი.

ლამაზი და თვალწარმტაცია შავი ზღვის სანაპირო, რომელიც ათასობით დამსვენებელს, ტურისტს იზიდავს.

სურათზე: არაბეთის ქვეყნების სტუდენტები სოხუმის ბოტანიკურ ბაღში.

ფოტო ი. ჭობონელიძისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

ხელოვნების ქრონიკა

„ვერაგობა და სიყვარული"

ახალქალაქი. (საკ. კორ.). კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრმა კულტურის რაიონულ სახლში მაყურებელს უჩვენა ფ. შილერის ტრაგედია „ვერაგობა და სიყვარული". იგივე სპექტაკლი ნახეს ახალციხისა და მესხეთ-ჯავახეთის სხვა რაიონების მშრომელებმა.

ცეკვის ჯადოქრები

ჭიათურა. (საკ. კორ.). მაღაროელთა ქალაქის მშრომელებს თავისი მაღალი ხელოვნება უჩვენა საქართველოს სსრ ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებულმა ანსამბლმა საქართველოს სსრ სახალხო არტისტის, სტალინური პრემიის ლაურეატის ნ. რამიშვილისა და სსრ კავშირის სახალხო არტისტის, სტალინური პრემიის ლაურეატის ი. სუხიშვილის ხელმძღვანელობით.

ი. სუხიშვილმა კონცერტების დაწყების წინ დამსწრეებს გაუზიარა საზღვარგარეთ მოგზაურობისას მიღებული მდიდარი შთაბეჭდილებანი.

მთიან რაიონებში

ტყიბული. (საკ. კორ.). ფოთის სახელმწიფო დრამატული თეატრის კოლექტივმა თავისი სპექტაკლები უჩვენა ტყიბულის, ამბროლაურის, ონის და ცაგერის რაიონების მშრომელებს.

თეატრს საგასტროლო რეპერტუარში ჰქონდა ოთხი დადგმა: დ. კვიცარიძის პიესა „თოვლიან ღამეს", გ. ბერძენიშვილის „გული ხელის გულზე", გ. სტეფანსკის ვოდევილი „ავი სული", ნ. დუმბაძისა და გ. ლორთქიფანიძის „მე ბებია, ილიკო და ილარიონი".

საესტრადო კონცერტი

თბილისი. მ. გორკის სახელობის კულტურის სახლის თეატრალურმა კოლექტივმა, რომლის ხელმძღვანელია ი. მათიაშვილი, ყვარლის რაიონის სოფელ შილდაში გამართა სამმოქმედებიანი საესტრადო კონცერტი. ნაჩვენები იყო ი. ფრანკოს „ჯიხური № 27," ი. მათიაშვილის „მმართველი და საქმეთა მმართველი", „ავი ცოლის ხელში ბოლო ასეთი იქნება", კ. გოგიაშვილის „ბავშვის გულისათვის".

ბ. გოგინაშვილი.

ᲣᲐᲘᲢᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ვაშინგტონი, 8 აგვისტო. (საკდესი). სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა პრესის საკითხებში უაიტმა დღეს პრეს-კონფერენციაზე განაცხადა: „ჩვენ მზად არა ვართ ამჟამად რაიმე არსებითი განცხადება გავაკეთოთ ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლის გამო რადიოთი და ტელევიზიით 7 აგვისტოს".

უაიტმა განაცხადა, რომ სახელმწიფო მდივანი რასკი 9 აგვისტოს რომში შეხვდება იტალიის პრემიერ-მინისტრ ფანფანისა და საგარეო საქმეთა მინისტრ სენინის, ხოლო 10 აგვისტოს კინცლერ ადენაუერს კადენაბიაში (იტალია).

დასავლეთში არიან ზოგიერთი უგუნური ადამიანები, რომლებსაც ევროპაში მშვიდობის განმტკიცების პერსპექტივა აშკარად აკარგვინებს სულიერ წონასწორობას.

ნ. ს. ხრუშჩოვი.



თავგზა აებნათ...
ნახატი მ. ვაისბორდისა. (საკდესის ფოტოქრონიკა.).

არ უსმენენ საღ მოსაზრებებს

პარიზი, 9 აგვისტო. (საკდესი). აქ გამოქვეყნდა ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის საბჭოს განცხადება საიდუმლო სხდომის შემდეგ, რომელზეც ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა დინ რასკმა გააკეთა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა გადაწყვეტილებანი მიიღეს ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთისა და დასავლეთ გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრებმა, რომლებსაც თათბირი ჰქონდათ ამას წინათ პარიზში. როგორც განცხადებიდან ჩანს ნატოს საბჭო კვლავ წინანდელ პოზიციებზეა და უარყოფს საბჭოთა კავშირის ყველა გონივრულ წინადადებას გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადებისა და ამ საფუძველზე დასავლეთ ბერლინის საკითხის მოწესრიგების შესახებ.

განცხადების ავტორები თავიდანვე ქმნიან ნერვულობის ატმოსფეროს და ცდილობენ შექმნან შთაბეჭდილება თითქოს არსებობდეს რაღაც საფრთხე დასავლეთ ბერლინისათვის, რომელიც საბჭოთა კავშირისაგან მომდინარეობს. განცხადებაში ნათქვამია, რომ ნატოს საბჭო შეიკრება, რათა „განეგრძო კონსულტაციები ბერლინის ახლანდელი პრობლემის შესახებ, რომელიც საბჭოთა კავშირის პოზიციამ შექმნა".

„მდგომარეობის სერიოზულობის გამო,—ნათქვამია შემდეგ განცხადებაში—საბჭომ გადაწყვიტა განახორციელოს უფრო ინტენსიური კონსულტაციები ამ საკითხზე იმ დირექტივების სულისკვეთებით, რომლებიც ნატოს საბჭომ შეიმუშავა ოსლოში 1961 წლის 10 მაისს".

ამ დირექტივებში აღნიშნული იყო, რომ გერმანიის პრობლემა, აგრეთვე დასავლეთ ბერლინის საკითხი შეიძლება გადაიჭრას მხოლოდ „თვითგამორკვევის" საფუძველზეო. ამრიგად, ნატოს საბჭომ კვლავ დაადასტურა, რომ მომხრეა კანცლერ ადენაუერის პოზიციისა, რომელიც მუდამ ამ ლოზუნგს იყენებს, და აძლევს მას სავსებით გარკვეულ აზრს—გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის თანთქმას.

ნატოს საბჭომ კვლავ გააკეთა განცხადება, რომ მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი „დაიცვას დასავლეთ ბერლინისა და მისი მოსახლეობის თავისუფლება", ამასთან ჯიუტად უგულებელყოფს საბჭოთა მთავრობის არაერთგზის განცხადებას იმის შესახებ, რომ იგი თანახმაა დამყარდეს თავისუფალ ქალაქ დასავლეთ ბერლინის დამოუკიდებელი განვითარებისა და უშიშროების ყოველგვარი ეფექტიანი გარანტია. ნატოს საბჭოს განცხადება აგრეთვე შეიცავს გაცვეთილ მტკიცებას დასავლეთ ბერლინში დასავლეთის სახელმწიფოთა „უფლებების" შესახებ. ამ მტკიცებით ისინი ცდილობენ გაამართლონ საოკუპაციო რეჟიმის შენარჩუნება, რომელიც ხელს უშლის იმას, რომ ბოლო მოეღოს ომის მდგომარეობას და გაიწმინდოს ევროპაში მშვიდობისა და მშვიდობიანი თანაარსებობის გზა.

თეთრი სახლის განცხადება

ვაშინგტონი, 8 აგვისტო. (საკდესი). თეთრი სახლის წარმომადგენელმა ჰეტჩერმა დღეს მორიგ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ უახლოეს დროში პრეზიდენტი კენედი არავითარ კომენტარს არ გააკეთებს ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლის გამო რადიოთი და ტელევიზიით 7 აგვისტოს.

ჰეტჩერმა განაცხადა, რომ პრეზიდენტი კენედი გაეცნო ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლის სრულ ტექსტს, რომელიც მან გუშინ საღამოს მიიღო.

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ ᲗᲐᲗᲒᲘᲠᲝᲒᲔᲜ

ნიუ-იორკი, 9 აგვისტო. (საკდესი). გუშინ ვაშინგტონში გაიმართა უშიშროების ეროვნული საბჭოს სხდომა. თათბირში მონაწილეობდნენ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი კენედი და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის და შეიარაღებული ძალების უმაღლესი ხელმძღვანელები. როგორც გაზეთი „ნიუ-იორკ ჰორალდ ამერიკენი" იუწყება, თათბირიც ამოცანა იყო „განხილვა ბერლინის შესახებ პრემიერ ხრუშჩოვის სიტყვის და საბჭოთა კოსმოსური ხომალდის გაშვების დიდმნიშვნელოვანი შედეგებისა".

ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲛᲐᲜᲔᲕᲠᲔᲑᲘ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐᲨᲘ

ნიუ-იორკი, 9 აგვისტო. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების არმიისა და სამხედრო-საჰაერო ძალების შენაერთებმა საერთო რიცხვით დაახლოებით 40 ათასმა კაცმა, რომლთაგან ბევრნი პრეზიდენტ კენედის ბრძანებით სავსებით მზად არიან საბრძოლველად, დღეს დაიწყეს მანევრები — ყველაზე დიდი მანევრები, რომლებიც კი ამერიკის შეიარაღებულ ძალებს მოუწყიათ მშვიდობიან დროს მეორე მსოფლიო ომის შემდეგ.

ეს მანევრები, რომლებსაც უწოდეს „სუიფტ სტრაიკი" („სწრაფი დარტყმა"), მიმდინარეობს ჩრდილოეთ და სამხრეთ ქაროლინის შტატების მთელ ტერიტორიაზე. მანევრების მსვლელობაში, იუწყება იუპის სააგენტოს კორესპონდენტი, შეერთებული შტატები „შეამოწმებენ თავიანთ მზადყოფნას ლოკალური ომების წარმოებისათვის ცივი ომის პირობებში".

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲣᲪᲮᲝ ᲔᲜᲐᲗᲐ ᲞᲔᲓᲐᲒᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ

აცხადებს ასპირანტურაში მიღებას 1961-62 სასწავლო წლისათვის

შემდეგ სპეციალობებზე: ინგლისური ენა, ფრანგული ენა და გერმანული ენა.

ასპირანტურაში მიიღებიან სსრ კავშირის მოქალაქენი არაუმეტეს 35 წლის ასაკისა, რომლებსაც დამთავრებული აქვთ უმაღლესი სასწავლებელი, გამომჟღავნეს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის უნარი და აქვთ არჩეული სამეცნიერო სპეციალობის პროფილით სამეცნიერო, პედაგოგიური ან წარმოებაში მუშაობის სულ მცირე 2 წლის გამოცდილება უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ.

განცხადება ასპირანტურაში მიღების შესახებ შემოტანილ უნდა იქნას ინსტიტუტის რექტორის სახელზე შემდეგი საბუთების დართვით:

1. კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, 2. უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების დიპლომის სათანადოდ შემოწმებული პირი, 3. სქემიანი და პოლიტიკური დახასიათება უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან, 4. გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების სია და რეცენზიები მათ შესახებ (ის პირები, რომლებსაც გამოქვეყნებული შრომები არა აქვთ, წარმოადგენენ სამეცნიერო რეფერატს სპეციალურ საგანში).

ასპირანტურაში შემსვლელნი მისაღებ გამოცდებს აბარებენ სკკპ ისტორიაში, სპეციალურ საგანში (ინგლისურ, ფრანგულ ან გერმანულ ენაში), მეორე უცხო ენასა და რუსულ ენაში.

ასპირანტურაში შესვლის ყველა მსურველისათვის ქართული ენის ცოდნა სავალდებულოა.

საბუთები მიიღება 1961 წლის 1 სექტემბრამდე.

მისაღები გამოცდები 5-დან 20 სექტემბრამდე.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ინსტიტუტში (ფალიაშვილის ქ. № 57, ტელ. 2-32-49).

ᲛᲔᲝᲠᲛᲝᲪᲓᲐᲐᲗᲘᲐᲗᲐᲡᲔ ᲥᲐᲠᲗᲚᲘ ᲐᲕᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲘ

ქუთაისი, 5 აგვისტო. (საქდესი). ს. ორჯონიკიძის სახელობის ქუთაისის საავტომობილო ქარხნის მთავარი კონვეიერიდან გადმოიღეს მეორმოცდაათიათასე ქართული ავტომობილი.

თავისი არსებობის 10 წლის მანძილზე ქარხანამ აითვისა ექვსი სახეობის სატვირთო ავტომობილის გამოშვება. საწარმოს კოლექტივმა, რომელიც ჩაბმულია სკკპ XXII ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის შეჯიბრებაში, გამოუშვა ახალი ტიპის „კაზ-607" მარკის ავტოსაწევარი, რომლის სერიული წარმოება დაიწყება წლის დამლევს.

ქართველი ავტომობილმშენებლები თავდადებით შრომობენ, რათა პროდუქციის გამოშვების ათი თვის გეგმა პარტიის ყრილობის გახსნის დღისათვის შეასრულონ.

ᲥᲝᲛᲔᲣᲜᲘᲡᲢᲘ

სპარტაკიადის პროგრამით

რამდენიმე დღე დარჩა მოსკოვში პროფკავშირთა VII საკავშირო სპარტაკიადის საზეიმო გახსნამდე, მაგრამ სპორტის რამდენიმე სახეობაში შეხვედრები უკვე დაიწყო.

პირველად ბრძოლაში ჩაებნენ ფრენბურთელები და კალათბურთელები. საქართველოსა და ლენინგრადის ფრენბურთელ ვაჟთა გუნდების შეჯიბრებაში გაიმარჯვეს თბილისელებმა 3:0. ასეთივე ანგარიშით რსფსრ ქალთა გუნდმა დაამარცხა სოხეთის ფრენბურთელები. უკრაინისა და მოსკოვის გუნდების შეხვედრაში გაიმარჯვეს მოსკოველებმა ანგარიშით 3:2. აზერბაიჯანელმა ფრენბურთელებმა დაამარცხეს ლატვის გუნდი (3:0).

წარმატებით აიღეს სტარტი ქართველმა კალათბურთელებმა. ქალთა გუნდმა მოუგო სოხეთის კოლექტივს ანგარიშით 57:46. საქართველოსა და ბელორუსიის ვაჟთა გუნდების შეჯიბრებაში გამარჯვებული გამოვიდა ჩვენი რესპუბლიკის კოლექტივი (80:64). უკრაინის და უზბეკეთის ვაჟთა გუნდების ასპარეზობაში გაიმარჯვეს უკრაინელებმა ანგარიშით 109:40.

შეჯიბრება გრძელდება.

ქალთა საჰაერო ჩემპიონატის წინ

15 აგვისტოდან ტალინში, მინსკში, იალტასა და ირკუტსკში დაიწყება სსრ კავშირის ქალთა საჰაერო ჩემპიონატის ნახევარფინალური ტურნირები. მასში მონაწილეობას მიიღებენ გამოჩენილი მოჭადრაკეები, რომელთა შორის იქნებიან ოსტატებიც.

ნახევარფინალებში გამარჯვებული სამსამი მოჭადრაკისაგან შეიქმნება ფინალური ჯგუფი. დასკვნითს შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე ბიკოვა, ბორისენკო, ზვორიკინა, ვოლპერტი, ზატულოვსკაია და გაფრინდაშვილი.

ფინალური შეჯიბრება ჩატარდება ერევანში 15 ნოემბრიდან.

ბათუმის ნახევარფინალი

ბათუმი. 9 აგვისტო. (ტელეფონით). დღეს აქ მოეწყო სსრ კავშირის საჭადრაკო ჩემპიონატის ნახევარფინალის პირველ სან ტურში გადადებული პარტიების დამთავრება, გათამამდა აგრეთვე გამოტოვებული პარტიები.

ყურადღებას იპყრობდა საერთაშორისო ოსტატის ბაგიროვისა (ბაქო) და ოსტატ გურგენიძის პირველ ტურში გამოტოვებული პარტია. მართალია, გურგენიძემ დებიუტიდან ერთგვარი უპირატესობა მიიღო, მაგრამ მისი რეალიზაცია ძნელი იყო. მე-14 სვლაზე ბაგიროვის წინადადებით მოწინააღმდეგენი ყაიმით დაკმაყოფილდნენ. მეორე გამოტოვებულ პარტიაში უსტინოვმა (ფრუნზე) დაამარცხა ანობინი (ფრუნზე).

გადადებული პარტიების დამთავრებისას გრუშევსკიმ (ტაშკენტი) მოუგო პრესს (ლენინაბადი), ბუსლაევმა — პრესს, გიპლისმა (რიგა) — ჰალილბეილს. როზოშმან (მინსკი) — ჰალილბეილის პარტია ყაიმით დამთავრდა. 2 პარტია კვლავ გადაიდო.

3 ტურის შემდეგ გიპლისსა და როზიზმანს ორნახევარი ქულა აქვს თვითეული, გრუშევსკის, კლოვანს, ბუსლაევს, პავლენკოს, ნეისს და ბოსიოფიკს — ორორი ქულა.

10 აგვისტოს გაიმართება მეოთხე ტური.

სსრ კავშირის პირველობაზე

გუშინ მოსკოვის ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩი ფეხბურთში „ა" კლასის მეორე ქვეჯგუფის კოლექტივებისათვის. თამაშობდნენ არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბისა და მოსკოვის „სპარტაკის" გუნდები. შეხვედრას შედეგად 3:1 სპარტაკელთა სასარგებლოდ.

საერთაშორისო მატჩი რუსთავში

გუშინ რუსთავში შედგა საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში ყენევის „სატუსისა" და რუსთავის „მეტალურგის" გუნდებს შორის. გაიმარჯვეს რუსთავის ფეხბურთელებმა 9:0.

რესპუბლიკური ჩემპიონატის მატჩები

გაიმართა საქართველოს პირველობის გათამაშების მორიგი შეხვედრები ფეხბურთში. მატჩების შედეგები ასეთია:

პირველ ქვეჯგუფში — „ კოლხიდა" (ხობი) — „ გასთიადი" (ბათუმი) 4:1, ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდი (თბილისი) — „ იმერეთი" (ქუთაისი) 2:3., „სალხინო" (ვეგეტაკორი) — „ კოლმეურნე" (თელავი) 5:1, „მეშახტე" (ტყიბული) — „ მაღაროელი" (ჭიათურა) 4:0.

ამ ქვეჯგუფს ლიდერობს ტყიბულის „მეშახტე", რომელსაც 19 თამაშიდან 29 ქულა აქვს.

რამდენიმე სტრიქონით

☐ **დუგლასში** გრძელდება მსოფლიოს პირველობის გათამაშება ველოსპორტში ქალთათვის, რომელშიც სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებთან ერთად გაძოდიან საბჭოთა სპორტსმენები. სპრინტერთა ასპარეზობაში უძლიერესი იყო საბჭოთა ველომბოლი გ. ერძოლავა, როდესაც ფინალში დაამარცხა ინგლისელი ვ. რასოფორტი და მსოფლიოს ჩემპიონი ბაგი.

☐ **წარმატებით** გამოვიდნენ საქართველოს მოჭადრაკე კომპოზიტორები პრაღის საერთაშორისო კონკურსში, ეტიუდებში საქართველოს ცნობილმა მოჭადრაკე კომპოზიტორმა გ. ხადარეიშვილმა მეორე ადგილი დაიკავა, ხოლო თბილისელმა ვ. ნეიძემ—მეხუთე. სამსვლიანი ამოცანების შედგენაში სოფელ ორბის მოჭადრაკე რ. მინდაძე მეორე ადგილზე გამოვიდა.

☐ **ტალინში** გაიმართა რესპუბლიკათა „ბ" კლასის, ფეხბურთელთა კოლექტივების მორიგი ასპარეზობა. თამაშობდნენ სოხუმის „რიწასა" და ტალინის სკიფ-ის გუნდები. გაიმარჯვეს მასპინძლებმა ანგარიშით 1:0. რიგაში რეზ-ისა და ბათუმის დინამოს მატჩის შედეგია 2:2.

მძღოლის მამაცობა

ტყიბული. (საკ. კორ.). ბენზინის ჩამოსასხმელ სადგურს მსუბუქი ავტომანქანა მიადგა. მძღოლმა ბ. ჯიხუხიძემ ავზი საწვავით აავსო, შემდეგ საშეს მიუჯდა და ძრავი ამოუშვა. მაგრამ დახვეა უბედურება: ავტომანქანის ძარას მოედო ცეცხლი, რომელიც სულ უფრო ძლიერდებოდა და არათუ მანქანას, ბენზინის ჩამოსასხმელ სადგურსაც აფეთქების საშიშროებას უქმნიდა.

ბენზინის გამყიდველმა შ. ბოჭორიშვილმა ცეცხლქრობს სტაცა ხელი, ხანძრის ჩაქრობა სცადა, მაგრამ ამაოდ.

მძღოლი როდი დაიბნა. მან ცეცხლმოდებული ავტომანქანა ჯერ სასწრაფოდ ბენზინის სადგურს მოაშორა. ცეცხლის ალი ხელებს სწვავდა კვამლი კი სულს უხუთავდა, მაგრამ მან თვალის დახამამებაში ხელი დასტაცა შალის საბანს, რომელიც იღებად მანქანაში ჰქონდა და ცეცხლს დაუფარა. ხანძარი შენელდა და ბოლოს ჩაქრა. ავტომანქანა მცირედ დაზიანდა, მაგრამ გადარჩა. გადარჩა ბენზინის საწყობიც, რომლის აფეთქება საფრთხეს მოუტანდა იქვე მახლობლად მდებარე ავტოპროფილაქტიკურ სასნელსნოსა და ხილის დამამზადებელ პუნქტს.

პარასკევს, 11 აგვისტოს, ხალამოს 7 საათზე ხელოვნების მუშაკთა სახლში (მახარაძის ქ. № 8) მოწვეულია ჟურნალისტთა საქალაქო კრება მიძღვნილი საკითხისადმი „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის პროექტი და ჟურნალისტთა ამოცანები".

რედაქტორი
დ. მეედლიშვილი.

10 აგვისტო

თეატრები: ფილარმონიის სახელობა — „ლატერნა მაგიკა".

ტელევიზია: 12.00 — მხატვრული ფილმი „ჯულიეტა", 18.00 — გადაცემა მოსწავლეთათვის. რეპორტაჟი — „როცა თქვენ ისვენებთ", 18.20 — კინოჟურნალი, 18.30 — ფეხბურთში 1961 წლის პირველობის გათამაშების კალენდარული მატჩის რეპორტაჟი „ქარიშხალს" სტადიონიდან, 20.30 — პასუხი ტელემაყურებელთა შეკითხვებზე, 20.45 — ახალი ამბები, 21.00 — მხატვრული ფილმი — „კერპი".

კინოები: **რუსთაველის სახელობის,** ამირანი (საზაფხულო), **ოქტომბერი,** ისანი (საზამთრო), **საქართველო** (წითელი დარბაზი), **პლეხანოვის სახელობის კლუბი** (საზამთრო), **ჭავჭავაძის სახელობის კლუბი** — ერთ-ერთი ჩვენგანი, **